# ვაჟა ფშაველა

№2 • ნოემბერი • 1990

სამეგრელოს რეგიონის ყოველთვიური გაზეთი



ვაგრძელებთ ჩალენჯიხის მაცხოვრის
ცვაძრის სამრეკლოდან გაცვაცებული
ზარების საერთო-სახალხო ძებნას!

# ზეიმი ჯუონდიდში







## ვულოცავთ

ბატონ ზვიად გამსახურდიასა და საარჩევნო ბლოკს „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ გამარჯვებას!

# კოლხთა გაკვეთილი

**ინტერესმოკლეგული** არ უნდა იყოს, კოლხეთის (ეგრისის) ქართული სამეფოს თავკაცების მიერ, არალეგალურად თავშეყრილ სახალხო კრებაზე, 1400 წლის წინათ, გულანთებულ კოლხ პატრიოტთა გამოხვლების გაცნობა და მათზე, ერთხელ კიდევ, დაფიქრება. კრების მახალები შემოინახა იმდროინდელი ბიზანტიელი პოეტისა და ისტორიკოსის, აგათია ხქოლახტიკოსის თხზულებამ. (იხ. „გეორგიკა“, III).

მაშინაც, მეექვსე საუკუნეში ქართულ ეროვნულ მოძრაობაში ძირითადად ორი ჯგუფი იბრძოდა. მდგომარეობა განსაკუთრებით გაუმწვავებია, 554 წელს, რომის იმპერიის ხარდლების მიერ კოლხიდის გმირი მეფის — გუბაზის ვერაგულ მკვლელობას. ამ დროს დახავლეთ საქართველო, კოლხიდის სამეფო რომის იმპერიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო, იბერიის სამეფო კი სპარსეთის იმპერიას ემორჩილებოდა. გუბაზს აღმოსავლეთ რომის, ბიზანტიის და ირანის, სპარსეთის იმპერიათა შორის, ხანგრძლივ მტრობასა და ომში, ბიზანტიის მხარე ეჭირა. აღნიშნული ცილობა ჩვენში ირანის გავლენის დახუსტებით დამთავრდა VI საუკუნის დასასრულისათვის. შანამდე კი ერთი ასეთი ბრძოლა, 550 წელს, მოხდა მდინარე ცხენისწყლის ნაპირას, მოხირისთან (მუზურისთან— ვ. ქ.), საინტერესოა, ბრძოლის წინ გუბაზ მეფის მხედრობისადმი მიმართვა: „...თქვენ კარგად იცით, რომ წინ არაფერი უდგება სპარსელების ანგარებას, როდესაც მათ ეს შეუძლიათ... დე, ნუ აღიგვება სახელი ლაზთა... შეებრძოლეთ მოწინააღმდეგეს აღვსილნი კეთილი იმედებით“.

სწორედ ასეთი გმირი მეფის ვერაგულ მკვლელობას გამოუწვევია კოლხეთში სახალხო თავყრილობა, რომელსაც რომისა და სპარსეთის იმპერიისადმი დამოკიდებულება, კოლხეთის მომავალი ბედი უნდა განეხაზღვრა.

ისტორიამ ამ სახალხო თავყრილობაზე წარმოთქმული სიტყვებიდან მხოლოდ ორი წარჩინებული კოლხი ორატორის მჭევრი გამოსვლა შემოგვინახა, როგორც ტიპიური და სპირისპირო ჯგუფთა შეხედულების გამომხატველი. გაგაცნობთ მას შეცირე შემოკლებით:

◆ ◆ ◆

**აიეტი:**

სიტყვა თქმული სახალხო კრებაზე კოლხეთის პოლიტიკური მდგომარეობის გამო.

„...ეხლა ნუთუ გამართლებულია ის რომ, იმ დროს, როდესაც ისინი (რომაელები — ვ. ქ.) საშინლად გვექცევიან, სამაგიეროს გადახდის შემთხვევას ვკარგავთ, ვუყოყმანობთ და ვთათბირობთ? ხომ არავის შეუძლია იმის მტკიცება, თითქოს მტერი ბოროტებაში ჯერ არ იყოს შეჩნეული და თითქოს მხოლოდ ამის ეჭვები არსებობდეს. ის რომ იგი ამგვარ ზრახვებს ატარებს, არაფრის გამოგონებაა საჭირო, მისი დაფარული ვერაგობის დასამტკიცებლად: საკმარისია, გაიხსენოთ სახელოვანი გუბაზი, რომელიც ახე საცოდავად მოსპეს... გაქრა კოლხთა ძველი ღირსება, ამიერიდან... ისიც ვიკმაროთ, რომ ძალიან არ დაგვჩაგრონ... ნუთუ უკიდურეს უგუნურებას არ წარმოადგენს ის, რომ ვინც ეს ჩაიდინა, ჩვენ ვზივართ და მათზე ვმსჯელობთ, მტრებად ჩავთვალოთ ისინი თუ მეგობრებად? უნდა ვიცოდეთ, რომ მათი თავხედობა ამაზე არ შეჩერდება. თუ ჩვენ ამ ბოროტმოქმედებას უყურადღებოდ დავტოვებთ, ისინი არ მოგვეშვებიან და, გულხელდაკრეფილნი რომ ვისხდებით უფრო ადვილად აგვდიან ნამუხს. მეფეც გაიძვერა ჰყავთ, რომელსაც ყოველთვის ხიამოვნებს არეულობა: და ეს ბოროტმოქმედება რომ ახე ერთბაშად იქნა ხიხრულეში მოყვანილი, ცხადია, იმის წყალობით, რომ მეფე მოუწოდებდა ამისკენ, ხოლო ხხვებმა გულმოდგინედ შეახრულეს.

მე ვინატრებდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს ძველი ძლიერება, რომ მას არ დახჭირდეს გარედან დახმარება როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს. როდესაც ჩვენ უამთა ტრიალით, ან ბედის უკუღმართობით, ან ორივეს წყალობით ისეთ უძლურობაში ჩავვარდით, რომ ხხვათა ხელქვეითნი გავხდით, ვფიქრობ, უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილის მსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ. ამგვარად, ჩვენ გავიმარჯვებთ ნამდვილ მტერზე, თუ არ დავტოვებთ დაუჯელად იმ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და მივიღებთ საპირო ზომებს, რომ უზრუნველი გავხადოთ ჩვენი მომავალი ცხოვრება. უშედეგო იქნება ის გაძვერრობა თუ ფლიდობა, რომელთაც ისინი იყენებენ იმათ მიმართ, ვინც მათ მიენდო, რომელთა ხაშუალებითაც უსამართლობას ხჩადიან. ისინი ვეღარ გამოიყენებენ ამას ჩვენს წინააღმდეგ, თუ მტერთან საერთო აღარაფერი გვექნება და აშკარად გამოვეთიშებით მას...

წინათაც ბევრჯერ მოუყენებიათ შეურაცხყოფა რომაელებს, მაგრამ ჩვენ ხაჭიროდ ვთვლიდით ძველ მდგომარეობაში დარჩენას: შეუფერებლად მიგვაჩნდა ო





ლი გადადგომა ხხვადახხვა მიზეზთა გამო, მაგრამ არ შეიძლება გონიერმა ადამიანებმა ხულის მოდრეკით ავიტანოთ უდიდესი ვნება და აუნაზღაურებელი ზარალი, რომელსაც ისინი გვაყენებენ. უნდა შევებრძოლოთ უწმინდურ და შეუფერებელ ხაქმეებს: რაც შეიხება უკანასკნელ მკვლელობას, არა მგონია, ხხვაგან ხადმე მომხდარიყოს ამაზე უფრო დიდი უბედურება, ან რომ მომხდარიყო, ახე ოألად ჩაეკლო. ამიტომ არც ჩვენ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ ეს ხაქმე: ხინდისი არ მოგვახვენებს, თუ ჩვენს მსხვერპლს დავივიწყებთ და მის მკვლელს პირფერობას დავუწყებთ... ეს ბოროტმოქმედნი, იმის მაგიერ, რომ დიდი ხნის წინათ ყოფილიყვნენ გაძევებულნი, ჯერ კიდევ დუხჯელნი დადიან ამ მიწა-წყალზე... თუ ჩვენ შეუფერებლად მივიჩნევთ რომაელებისაგან განდგომას და შევშინდებით, ხიფრთხილე გვმართებს, რომ ამ ბოროტმოქმედების მონაწილეებად არ ჩაგვთვალონ, ვინაიდან დაუდევრობას ვიჩენთ და მიცვალებულის ხისხლის აღებას ვაყოვნებთ... არხებული მდგომარეობის მოთმენას მხოლოდ მაშინ აქვს გამართლება, როდესაც მაშ გონიერი მოსაზრებები ახლავს თან. მაგრამ როდესაც ისე ხდება, რომ უგულებელყოფენ იმას, რაც უნდა ახსოვდეთ, ხოლო აკეთებენ იმას, რაც შეუფერებელია, მაშინ უფრო გახაკეცხავი ის, ვინც ძველ ვითარებას მისდევს, ვიდრე ის, ვინც ახალს ეშმრომა... მაშ, ხახწრაფოდ შეუდექით ხაქმეს და გამოამეღავნეთ თქვენი გულის ნადები: რომ გავაკეთებთ იმას, რაც ხწორი და ხამართლიანია და რაც ხარგებლობას მოგვტანს, — ამით ჩვენ უდიდეს ხახელს მოვიხვეჭთ“.

აიეტის მჭერმეტყველებით აღგზნებულმა ხალხმა რომაელთა უარყოფა და სპარსეთისათვის მიმხრობა მოითხოვა, მაგრამ მეორე გავლენიანი ადამიანის ფარტაზის გამოხვლამ ხაწინააღმდეგო ეფექტი შექმნა:

**ფარტაზი (ფარტაძე):**

„ჩვეულებრივი ამბავი დაგემართათ, კოლხებო, რომ მეტად მოხერხებულად და წარმტაცად თქმულმა სიტყვებმა გონება შეგირყიეს. უძლეველია მჭერმეტყველება და ის, თითქმის, ყველას ამარცხებს, მაგრამ ეს ხრულიადაც არ ნიშნავს იმას. რომ მას ვერ დაუპირისპირებთ გონიერ მოსაზრებას, რომელიც ხაქმის ნამდვილ ვითარებას ხსნის. ნათქვამი იმიტომ კი არ უნდა მოიწონოთ, რომ ის თავისი მოულოდნელობითა და უჩვეულობით მიგაჩნიათ დამარწმუნებლად, არამედ მხოლოდ იმიტომ, თუ ის მიზანშეწონილია და სახარგებლო. კარგად უნდა შეგნოთ, რომ, **რაბინდ სასიამოვნო არ იყოს ნათქვამი, უნდა ამოერჩიოთ იქიდან ის, რაც უსაფუძვლოა:** იმის აშკარა სიბუთად, რომ მოხტუუდით, ის გამოდგება, რომ თქვენ ადვილად დაარწმუნებინეთ თავი აიეტს. **ვინც ულაბ რჩევადარიგებებს იძლევა, მას ესახიერება სიტყვების ფეხი მოკაზმულობა და სიფრელე:** რაც უფრო მეტ წარმტაც სიტყვებს ხმარს, მით უფრო ხწრაფად მიიზიდავს გულუბრყვილო მხმენელს. ახე დაგემართათ თქვენც: აიეტი რომ მაცდურსა და შემპარავ სიტყვებს მოგაბსენებდათ, ვერც კი შეამჩნიეთ; სხვა თუ არაფერი, ის კი მაინც ნათლად უნდა დაგენახათ, რომ მან იმთავითვე წამოაყენა ხულ სხვა ხაკითხი, ხრულიად განსხვავებული, ისათგან, რომელთა გამო ჩვენ აქ მოვხულვართ. მისი სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებდეთ, მომხდარი ამბავი არ იყო ხაშინელება, რომ ამ ხაზიზღარ მკვლელობას არ კიცხავდეთ და მხოლოდ ამის შესახებ მსჯელობდეთ, დამნაშავენი არიან თუ არა გუბაზის მკვლელები; თვითონ ის მკვლელების დანაშაულს არ ეხება და უამრავ სიტყვას ხარჯავს იმაზე, რაც ცნობილია. მე კი ვამბობ, რომ წყეული და შეჩვენებული არიან ისინი და მე უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი მათ ხაშინელ ხახელს, ვუყურებდი არა მარტო იმათ დაღუპვას, რომელთაც განგმირეს გუბაზი და ხაკუთარი ხელებით ჩაიდინეს ეს მკვლელობა, არამედ ყველა იმათხაც, რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს, აგრეთვე იმათაც, რომელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ. ნუ ავყვებით მხჯელობის დროს მოწოლილ ბოღმას და გულისტკივილს, რომ არ დავკარგოთ მოსაზრების უნარი და არ დავაბუნდოვანოთ ჩვენი მხჯავრი: შევინარჩუნოთ უნარი უკეთესის არჩევისა. უგუნური ადამიანები ხულ მუდამ დახტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და არ ახპობენ მომავლის იმედებს.

მაგრამ ეს მრჩეველი აიეტი ცდილობს შეგვაშინოს — თითქოს ბავშვები ვიყოთ — და გვიმტკიცებს, რომაელები არ იკმარებენ იმას, კიდევ მეტი უბედურება მოგველახოს. ამბობს იმასაც, რომ მათ დიდი გაიძვერა მეფე ჰყავთ, რომელიც თვითონ არის ამ მკვლელობის ხულის ჩამდგმელი; დიდი ხანია ეს მკვლელობა მომზადებული და მოფიქრებული იყოო. მოუფიქრებლად გვიდგენს გეგმებს, არღვევს და ანგრევს კრების წეხრიგს და ამ კრებას მიზანს უკარგავს. კრება ხომ, ჩვეულებრივ, წინასწარ ახილავს მუდამ და მხჯელობს, რომ კარგად განხაჯოს ის, რაც არ არის ნათელი; ხოლო, როგორც კი მიაგნებს იმას, რახი გაკეთებაც არის ხაჭირო, მაშინ გამართებს გამოვიჩინოთ უნარი და შეავხრულოთ მახი რჩევა. ამან კი ბოლო წინ გადაიტანა და ვიდრე ჩვენ ხაბოლოოდ რახმე გადავწყვეტდეთ. ის უკვე შეუდგა შეხრულებას. რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგენილება იქნება? ...უმართებულოა ჩემის აზრით, ამახთანავე მიზანშეუწონელიც ორი კაცის დანაშაულის გამო შევხწყვრომოდით ხაზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა აგვიღია ჩვენს თავზე და ახე ოألად შეგვეცვალა მთელი ხახელმწიფო წყობილება და ცხოვრება... ადამიანები ვერ იწყნარებენ ხოლმე აზრთა ხხვადახხვაობას და მაშინაც კი, როდესაც გაჭირვება ან რაიმე, კეთილი ხაქმე აიძულებს ერთად იყვნენ, მათ შორის ნდობა მაინც არ არის მტკიცე; ეს შეიძლება იყოს მხოლოდ აზრთა ერთიანობის დროს. თუ ვინაიცობაა ეს ერთიანობა არ არსებობს, მათი დაახლოება და შეგობრობა ცარიელი სიტყვაა: ხაქმით ისინი ერთმანეთისათვის უცხონი რჩებიან. ბოდა, ბა, რისთვის უნდა გადავიდეთ, კოლხებო, სპარსელების მხარეზე, თუკი ისინი მაინც ჩვენ მტრებად დარჩებიან. ფარული მტრისაგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარისაგან? მაგრამ დავუშვათ, რომ სპარსელები თავისი ხასიათით მტკიცენი და ხანდონი არიან და ჩვენთან დადებულ პირობებს ყოველთვის შეასრულებენ. ესეც რომ მივიღოთ და, მაშასადამე, აღარავითარი დაბრკოლება აღარ გველობოდეს, მაინც ჩვენი ძალები ხაკმარისი არ იქნება იმისათვის, რომ ჩვენი განზრახვა ხისრულეში მოვიყვანოთ და სპარსელების მხარეზე გადავიდეთ. როგორ შეეძლებთ ჩვენ მათ მხარეზე გადახვლას, როდესაც თავზე გვადგანან რომაელები, რომელთაც ამდენი ვაჟკაცი ჰყავთ დარაზმული ხუკეთესო სტრატეგების ხელმძღვანელობით? როგორღა შეეძლებთ ხაშინელი ხახჯელის თავიდან აცილებას, როდესაც ისინი, რომლებმაც უნდა აღმოგვიჩინონ დახმარება, ჯერ კიდევ შორს, იბერიაში აყოვნებენ და ზლაზნით მოიწევენ წინ, ხოლო ისინი კი, რომელთაგანაც სახჯელს უნდა ველოდეთ, მთელ ჩვენს ქვეყანას ფლობენ?

მიცვალებული გუბაზი რომ აქ იყოს, უეჭველია, როგორც ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვაცხადა ამგვარი ზრახვებისთვის; მოგვიწოდებდა არ მივცემოდით სახოწარკვეთილებასა და გულაჩუყებას, მონებივით კი არ გავქცეულიყავით, არამედ აღეურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვაჟკაცურად აგვეტანა და არაფერი სამარცხვინო და მამაპაპური წესების შესაბილწი არ ჩაგვედინა.... მე იმ აზრისა ვარ, რომ ხაჭიროა რომაელთა მეფემ ხათანადოდ მიუზღოს იმას, ვინც ამ მკვლელობაში მთავარი დამნაშავეა. თუკი ის უარყოფს ჩვენს მოთხოვნას, მაშინ უნდა მოვთათბიროთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა მეორე გზას დავადგეთ. თუ ახე მოვიქცევით, იმასაც დავამტკიცებთ, რომ ცხონებული გუბაზი არ დაგვივიწყნია და, იმასაც, რომ ხაქმეებს მოფიქრებით ვაგვარებთ და არა წინდაუზედავად.

ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანემ, რომელსაც გათვითცნობიერებული ჰქონდა კოლხეთთან კავშირის მნიშვნელობა ქ. არქეოპოლისში (დღევანდელი ნოქალაქევი) მოაწყო გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლება.

◆ ◆ ◆

გაიმარჯვა ფარტაძის ჯგუფმა. ეგრისელთა მოთხოვნით რომმა გუბაზი მეფის მკვლელები დასაჯა და ლაზიკის მეფედ დამტკიცა მისი ძმა წათე, რომელიც ძველი ადგილობრივი წესებით შეუდგა ქვეყნის მართვას.

ცნობილია, რომ მთელი ისტორიის მანძილზე იყო ბრძოლა ხაქართველოს თვითმყოფობისათვის. იკიცხებოდნენ ხულმოკლენი, რომელნიც „შიშთა განლევეან და ირეკევიან“. იყო მოთქმა — ლამისაა ხაკუთარი ხახე დაკარგეთო „აღვერიენით ერხა უცხოთახო“ და იყო ეროვნულ ძალთა კონხოლიდაციისაკენ მოწოდება.

ვფიქრობთ, კოლხთა გაკვეთილიც წაადგება დღევანდელ საქართველოს ეროვნულ მოძრაობას სწორი გზის არჩევაში, სწორი თეორიული .სამართლებრივი განსჯისათვის მაინც.

**ვილენ ქორიძე**

# კონსტანტინეობა

ბბაშა. 1990 წლის 4 ოქტომბერი.
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტორეპორტაჟი



პატარა მდინარე ზანას ნაპირზე, უმშვენიერეს კოლხურ გარემოში ძველებური ოდა სახლი დგას... ამ სახლში 99 წლის წინ გამსახურდიების ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც წმინდანის სახელი — კონსტანტინე უწოდეს...

მოგვიანებით, სიჭარმაგეში შესული ბატონი კონსტანტინე, ხშირად იგონებდა ამ სოფელს, დღევანდელ ძველ აბაშას, მის გულთბილ და კეთილ ხალხს... იგი არასოდეს მოსწყვეტია მშობლიურ მიწას, რომელმაც მას ესოდენ უშურველად დაანათლა ნიჭი, გამბედაობა და ერთიანი საქართველოს უსაზღვრო სიყვარული...

და ეს სიყვარულია, რომელიც გულუხვად დაუბრუნა თავის მშობელ ერს, საქართველოს მფეთქავ ძარღვზე მუდმივად ყურმიდებულმა ბატონმა კონსტანტინემ.

მშობელმა ერმა იცის თავისი ღირსეული შვილის დაფასება... ამის დასტური იყო ის დიდი მოწიწება და თაყვანისცემა, რომელიც სუფევდა სოფელ ძველ აბაშაში.

წლევანდელი კონსტანტინეობა განსაკუთრებული იყო, ეს გახლდათ გამოღვიძებული საქართველოს დიდი ზეიმი.

სახლის აივანზე, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავდადებულ მამულიშვილებთან ერთად იდგა კონსტანტინე გამსახურდიას საამაყო შვილი — ზვიად გამსახურდია... მან მადლობა მოახსენა ზეიმზე მოსულ ხალხს და რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი გაიხსენა მამის ცხოვრებიდან...

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ დიდი კონსტანტინეს ნიჭის გულწრფელი დამფასებლები... სიმღერას ლექსი ალამაზებდა, ლექსს ცეკვა...

საფრანგეთში მცხოვრები მხცოვანი ივანე გუნია, მღელვარებისგან ცრემლებს ვერ იკავებდა...

# კონსტანტინეობა

**1930 წელს** სოფელ თაგილონის (გალის რაიონი) მახლობლად შემთხვევით აღმოჩნდა მამაკაცის მდიდრული სამარხის ინვენტარი — ჯაჭვის პერანგისა და მუზარადის ნაწილები, მახვილის ვადის ოქროს გარსაკრავები, რკინის ლაგამი, სარტყლის ან ცხენის ავშარის შესამკობელი ოქროს გავარსიანი მძივი, ირმის სარიტუალო ოქროს ქანდაკების თავი, ვერცხლის 14 ჭურჭელი და მათი ნატეხები (დაცულია ზუგდიდის მუზეუმში. I-II ხხ.).

თაგილონის განძი შეისწავლა და 1935 წელს გამოაქვეყნა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, ხელოვნებათმცოდნემ, ქართული ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთმა პირველმა მკვლევარმა აკადემიკოსმა **შალვა ამირანაშვილმა** (Новая находка в низовьях реки Ингура, ТФ. 1935 г.), ხოლო შემდგომ კი განავრცო ფუნდამენტალურ ნაშრომში „ქართული ხელოვნების ისტორია“ (თბ. 1944, 1961, 1967 წ. წ). ვაქვეყნებთ აკად. შალვა ამირანაშვილის მეცნიერულ ანალიზს თაგილონის განძის შესახებ.

# თაგილონის განძი

1930 წ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ თაგილონის მახლობლად საყურადღებო განძია ნაპოვნი. აღმოჩენილი ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და რკინის საგნებიდან, რომლებიც სამარხის ინვენტარის ნაწილს შეადგენენ, სამწუხაროთ ბევრი დაიკარგა, გადარჩენილი კი ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. დიდად საყურადღებოა ოქროდან გაკეთებული ფუყე ირმის თავი; ნივთი მშვენივრადაა შენახული. იგი შესრულებულია იშვიათი მოხდენილობით. ნატიფი შუბლის ძვალი, ყბების კუნთები და ცხვირის ხრტილი. თავის ზედაპირი ჭედვითაა დამუშავებული, ბენვი მსხვილ კულულებად ხუჭუჭდება შუბლზე, ყურებს უკან და თვალებს ზემოდ. იგი გვაგონებს ადრეული რომაული ხელოვნების ძეგლებს, რომლებიც იმეორებენ ელინისტურ ნიმუშებს ან ბაძავენ მათ. თვალების მაგივრად ჩასმული ყოფილა მინის თვლები. რომელთაგან მხოლოდ ბუდეებია დარჩენილი.

სხვა ნივთებს შორის ყურადღებას იპყრობს კასრისმაგვარი მძივი, რომელიც ორ შეკავშირებულ ნახევრისაგან შესდგება. მისი ზედაპირი ზემოდან მიმაგრებული მავთულების საშუალებით ხუთ ზოლად არის გაყოფილი. ისინი შემკულია სკმაოდ მსხვილი მარცვლოვანი ბირთვებით. საყურადღებოა აგრეთვე ოქროს ორი ამოზნექილი ბალთა მოჩუქურთმებული გამოსახულებებით. ბალთებზე გამოსახულია ჰერალდიკულად განლაგებული ოთხი ფასკუნჯის თავი, რომლებიც გველებს ყლაპავენ. ცენტრში მეფობს ოთხფურცლიანი ვარდული. ფასკუნჯებს თავებს შორის გამოსახულია ჯიხვის ორი თავი დაბლა დახრილი რქებით. ნაპირზე მოვლებულია მსხვილი მარცვლებისაგან შემდგარი ორნამენტი.

რომაული ხელოვნებისათვის ტიპიურია ვერცხლიდან კვერით ნაჭედი ზემოთ გაფართოებული ჭიქის სახის ჭურჭელი, გადაზნექილი ნაპირებით. მის ერთ მხარეზე შენახულია სახელურის კვალი; რომელზეც ლომის თავია მიკავშირებული. იგი კარგადაა მოდილირებული მსხვილი ხაზებით. დეტალების დამუშავების დაუწვრილმანებლად; მსხვილი თვალები მკვეთრად აღნიშნული ქუთუთოებით და გუგებით. რომაული წარმოშობისაა ვერცხლიდან კვერით ნაჭედი მომცრო, კვერცხის მაგვარი ფორმის თასი, გამოყოფილი კედლებით. მისი ნაპირი შემკულია ჭედური ორნამენტალური ზოლით — პალმეტების მწკრივის სახით; პალმეტები მოთავსებულია ოვალებში და ერთმანეთისაგან დაშორებულია წყვილი, ვერტიკალურად განლაგებული რგოლებით. ნაპოვნი ნივთებისაგან ძალზე მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რკინის პერანგის და ლაგამის ნაშთები. მარცვლოვანი ბირთვებით დამუშავებულ ოქროს მოჭედილობის ფრაგმენტები, ალბად, ამკობდნენ იარაღის ტარს, ოქროს მცირე ბალთები კი — ტყავის ასხმულ სარტყელს ან ცხენის საკაზმავს.

ნივთების მთელი კომპლექსი ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ელინისტურ-რომაული ჭურჭელი და იარაღი, და ოქროს ნივთები, რომლებშიც მკვეთრად გამოხატულია ადგილობრივი სტილის ნიშნები.

ვერცხლის ჭურჭელი ენათესავება რომაულ-ელინისტურ ტორევტიკის ტიპიურ ნიმუშებს, რომლებიც ნაპოვნი იყო როგორც შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე და ამიერკავკასიაში, ისე იტალიასა და დასავლეთ ევროპაში. ვერცხლის ჭურჭელი გვაძლევს გადამუშავებულ ელინისტურ ფორმებს, რაც დამახასიათებელია ადრეული რომაული ხელოვნებისთვის.

რაც შეეხება ოქროს ნივთებს, მათი ფორმა, შესრულების ტექნიკა და ორნამენტაციის ხასიათი ახლო პარალელებს პოულობს კავკასიისა და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს სიძველეებში. ირმის ოქროს თავი, მიუხედავად დიდი ოსტატობისა და მაღალი ტექნიკისა, გამოირჩევა სტილის ერთგვარი სიმშრალით. რაც გამოიხატება თავის დაძაბულობაში და ვერტიკალურად დაყენებულ რქებში. ეს სიმშრალე გვაგონებს სტილიზებულ ბრინჯაოს ირმებს ყაზბეგისა და ყუბანის სამარხებიდან. ამგვარსავე სტილიზაციას ვხედავთ შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს ადრინდელ სკვითურ ხელოვნების ძეგლებში და ირანულ ხელოვნებაში.

ბალთები ჭდეული გეომეტრიული ორნამენტით და ცხოველთა სტილის მორთულობით ცნობილია განათხარ მასალებში ყუბანის ყორღანებიდან და რომის მფლობელობის დამყარების ხანას მიეკუთვნებიან. ამ სამარხის ნივთებისათვის დამახასიათებელია ირმის თავისა და რქების გამოსახვის გამოყენება. ჭედვის რელიეფური ტექნიკით გამოსახულია ცხოველების მეორე მრგვალ ბალთებზე, აგრეთვე მარცვლოვანი ბირთვები და გრეხილური. აღნიშნული ხერხები და ფერადი მინისათვის განკუთვნილი ბუდეები დამახასიათებელ მოვლენას შეადგენს ამიერკავკასიის და ბოსფორის ტორევტიკისათვის. ამ სამარხის მთელ ინვენტარს ა. ამირანაშვილი აკუთვნებს ეგრეთწოდებულ „აღმოსავლურ ელინიზმის“ ძეგლების ფართე წრეს, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ირანის და ელინისტურ-რომაულ სამყაროს კულტურას, სამარხს ათარიღებს I საუკუნის მეორე ნახევრით ან II საუკუნის დასაწყისით.

**(ამოღებულია წიგნიდან შ. ამირანაშვილი, „ქართული ხელოვნების ისტორია“, თბ., 1961 წ.)**

***

სურათზე — თაგილონის განძი — „ოქროს რქა“.



ისტორიული კადრი: აკაკი შანიძე, ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრაძე, შალვა ამირანაშვილი თბილისის უნივერსიტეტის ეზოში 1970 წლის 6 სექტემბერი.

# თუთარჩელა

№ 2



სერგი მაკალათია


## საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია

# მიმოხილვა

ქალ. პიცუნდა, დღევანდელი ბიჭვინტა, იყო კოლხეთის სავაჭრო ციხე-ქალაქი: სტრაბონი მას დიდ ქალაქს უწოდებს, პლინიკი უმდიდრეს ქალაქს. ზოსიმეს ცნობით 294 წ. იმპერატორი დეციოს მეფობის დროს სკვითები შეეხივნენ ბიჭვინტას და მათ დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ქალაქი აიღეს და გაცარცვეს.

ციხე-ქალაქი კიტეა მოხსენებულია არგონავტების მოგზაურობაში. ის არის აპოლონ როდოსელის მიერ (III ს. ძ. წ.) მოხსენებული კოტიაიონ, რიონზე მდებარე, დღევანდელი ქუთაისი. პროკოპი კესარიელს შოყვანილი აქვს არიანეს თხზულებიდან ცნობა, რომ რიონზე მდებარე ციხეს ბერძნები უწოდებენ კოტიაიონს, ლაზები კი კუთათისს.

ციხე-ქალაქი სარაპანი ცნობილია კოლხეთის ისტორიაში, როგორც დიდი ნავთსადგური, რომელიც მდებარეობდა მდ. ყვირილაზე. იგი წარმოადგენდა სავაჭრო საქონლის საწყობს. აქვე იკრიბებოდენ ვაჭრები, რომლებიც აღებ-მიცემობას აწარმოებდენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. სტრაბონის მოწმობით ფაზის მდინარეში დადიოდენ გემები სარაპანის ციხემდე, რომელსაც თავის სიდიდით შეეძლო მთელი ქალაქის მცხოვრებთა დატევება.

აქ დასახელებულ მსხვილ ციხე-ქალაქებთან ერთად კოლხეთში არსებობდა აგრეთვე უფრო მცირე ქალაქებიც , მაგალითად, ციხე სკანდა, ვარდციხე (როდოპოლისი), ციხე უქიმერიონი და სხვა.

კოლხეთის პავისა და ბუნების აღწერა მოეპოვება ჰიპოკრატეს (V-IV საუკ. ძ. წ.) ჩვენ აქ მოვიყვანთ მის ცნობებს უცვლელად:

„ქვეყანა, რომელიც ჩაუდის ფაზის მდინარე, არის ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და შემოსილი ტყით. იქაური მკვიდრი ცხოვრობენ ჭაობებში; წყალში იშენებენ სახლებს ბისას ანუ წკნელისას. გარედ გამოდიან მხოლოდ მაშინ, როცა ქალაქში ანუ ბაზარში უნდა წავიდნენ. ამ ქვეყანაში ბევრი არხია; შიგ უდგიათ მთლიან ხისაგან გაკეთებული ნავები და ამ ნავებით შემოუვლიან გარშემო თავიანთ მამულს. ხმარობენ წვიმის წყალს, რომელიც არის თბილი, მდორე და აყროლებული ხიცხისაგან. ფაზისს ყველა მდინარეებზე უფრო ნელი და მდორე მიმდინარეობა აქვს. ამ ქვეყნის ხილი ცუდი თვისებისაა, უგემური და წყლის სიუხვის გამო არაოდეს არ მწიფდება. წყლისაგან ნისლი ადის, რომელიც მუდამ გარს არტყია ამ ქვეყანას. ამ მიზეზებს უნდა მიეწეროს, რომ აქაური მცხოვრებნი ეგრე განირჩევიან ყველა სხვა ერთაგან: ისინი ტანით მაღალნი არიან, მაგრამ იმდენად მხუქნები, რომ არ უჩანთ არც სახსრები და არც ძარღვები. ფერი აქვთ ყვითელ-მწვანე, თითქო სიყვითლით არიანო ავად. ყველაფერს ერიდებიან რაც კი დალლის. ამ ქვეყანაში ზამთარს და ზაფხულს შორის დიდი გარჩევა არ არის სითბო-სიცივის მხრით. აქ უფრო ხშირია ხამხრეთის ქარი. ამის გარდა იცის კიდევ ადგილობრივი ქარი, რომელიც არის ფრიად ძლიერი, ცხელი და უსიამოვნო. ამ ქარს ეძახიან „კენხრონს“. ჩრდილოეთის ქარი აქ იშვიათია და არ აქვს არც ძალა და არც მნიშვნელობა“.

კოლხეთის მოსახლეობის შესახებ ჩვენ არა გვაქვს უტყუარი ცნობები, მაგრამ იმ მცირეოდენ მასალების მიხედვით, რომელიც მოიპოვება ძველ ბერძნულ მწერლობაში, შესაძლებელია დადგენა, რომ მოსახლეობა ეკუთვნოდა ქართველთა ტომის ხამ შტოს: კოლხებს, რომელშიაც შედიოდენ მაკრონები (მეგრელები) და ჭანლაზები აფშილ-აფხაზებს და სვანებს. კოლხეთის მოსახლეობაში შედიოდენ მათივე მონათესავე უფრო მცირე ტომები: მოსინიკები, ჰენიოხები და ზიდრიტები, ამ ტომებს შორის თავდაპირველად გაბატონებული იყვნენ კოლხები, რომელთა ხელში იყო პოლიტიკური ძალაუფლება და მთელ ამ მხარეს მათ მიანიჭეს თავიანთი ტომობრივი სახელწოდება — კოლხეთი. კოლხების მოსახლეობას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი მწერლები სვადასხვა ადგილას უჩვენებენ და ეს გარემოება საბაბს აძლევდა უსლარს ეთქვა, რომ კოლხები მოკლებულნი უნდა ყოფილიყვნენ მკვიდრ მოსახლეობას და ვაჭრობასთან დაკავშირებით უფრო ეწეოდენ მოძრავ ცხოვრებას, როგორც დღეს ებრაელები ქრისტიანებს შორისო. მისივე აზრით დროთა განმავლობაში ის მოვაჭრე კოლხები სრულიად მოიხპნენ და თანამედროვე შავი ზღვის ნაპირას მოსახლე ტომთა შორის ძველი კოლხების შთამომავალი არ არსებობსო. ა. ხახანაშვილის აზრით: „კოლხებს, შესაძლებელია არ ჰქონოდათ განსაკუთრებული ტომობრივი სახელწოდება; კოლხები მეტად მცირერიცხოვანი იყვნენ, ცხოვრობდენ ლაზებსა და მანრალებს შორის. ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება ისინი ცნობილი იქნეს მრავალრიცხოვან ერად“.

ამგვარი დასკვნის გაზიარება რასაკვირველია ძნელია, მით უმეტეს რომ, კოლხებს თავიანთ შესახებ წერილობითი ცნობები არ დაუტოვებიათ, ბერძნები კი მათ უწოდებენ კოლხებს, მაგრამ ადგილობრივ თავიანთ ენაზე, თუ რა ტომობრივ სახელწოდებას ატარებდენ ისინი, ჩვენ არ ვიცით.

ყოველ შემთხვევაში ბერძნული მწერლობის მიხედვით კოლხები, რასაკვირველია, არსებობდენ, ეწეოდენ ბინადარ ცხოვრებას და საკმაოდ ძლიერ და გავლენიან ტომად იყვნენ ცნობილი. მათ შესახებ ჰეროდოტე გარკვევით ამბობს, რომ „სპარსელებს საზღვრად აქვთ ხამხრეთის ზღვა, რომელიც იწოდება წითელ ზღვად, იმათ ზევით, ჩრდილოეთით, მიდიელები ცხოვრობენ; მიდიელების ზევით სასპირებია და სასპირების ზევით კოლხიდელები; კოლხიდელებს საზღვრად აქვთ ჩრდილოეთის ზღვა (შავი ზღვა), რომელსაც შეერთვის ფაზის მდინარე. ამ ოთხ ერს უჭირავს მთელი ქვეყანა ერთის ზღვიდამ მეორემდე“.




რომაული ფულები, აღმოჩენილია სოფელ ეკში.

აქედან ირკვევა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მობინადრე კოლხებს საკმაოდ დიდი ტერიტორია სჭერიათ.

კოლხების მონათესავე მცირერიცხოვან ტომებს შორის უფრო ცნობილია ბერძნული მწერლობის მიხედვით მოსინიკები ან პეტაკომიტები.

აპოლონ როდოსელის მოწმობით, „მოსინიკებს სჭერიათ ტყიანი და მაღალი ადგილები, ცხოვრობდნენ ხის კოშკებში, მკვიდრად შემოკავებულში, რომელსაც ეწოდებოდა მოსინები. აქედან წარმოიშვა თვით მათი ტომობრივი სახელწოდება მოსინები“.

სტრაბონის მოწმობით, — „მოსინიკები მეომარი და გულადი ხალხი ყოფილა; მათ მოუსპიათ ხამი გუნდი რომაელთა მხედრობისა მითრიდატთან ომის დროს“.

კოლხეთის მოსახლეობის მეორე შტოს ეკუთვნოდა აფშილ-აბასგები (აფხაზები), რომელნიც კოლხეთის ხამხრეთით ბინადრობდნენ და ეჭირათ მდინარე ენგურის მიდამო. მათ შესახებ ძველ ბერძნულ მწერლობაში მცირე ცნობები მოიპოვება, მხოლოდ არიანე (II ს. ახ. წ.) მოგვითხრობს რომ ლაზების მოსაზღვრე აბშილებია, აბშილებს ხაზღვრავს აბაზგებიო (იხ. რუკა 1).

კოლხეთის მოსახლეობის ქართველთა მესამე შტოს ეკუთვნოდნენ სუანები (სვანები). მათ შესახებ უფრო მცირე ცნობებია ძველ ბერძნულ მწერლობაში შენახული. მხოლოდ სტრაბონს აქვს მათ შესახებ შემდეგი ცნობა: „სვანებს უჭირავთ დიოსკურიის მაღალი მთები და იქიდან ბრძანებლობენ გარშემო ხალხებზე. იმათ ჰყავთ მეფე, რომელიც ხამასი მხედრისაგან შემდგარი კრების შემწეობით განაგებს. მათში ყველა მხედარია, მხოლოდ აკლიათ მუდმივი ჯარის გაწვრთნილობა.

კოლხეთის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ ბერძნულ წყაროებში მცირე ცნობებია შემონახული. ამიტომ ძნელია კოლიეთის სახელმწიფოებრივი წყობილების სრული სურათის მოცემა. მაგრამ იმდროინდელი ცნობების მიხედვით ირკვევა აშკარად, რომ (ძვ.წ.) V-III საუკ. კოლხეთი იმყოფებოდა გარდამავალ ხანაში, როდესაც გვაროვნული წყობილება უკვე დაშლილი იყო და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობასთან ერთად იწყებოდა ადრინდელი ფეოდალიზმის პერიოდი. კოლხეთის პოლიტიკური ცხოვრების ხათავეში იდგა მეფე — „ბაზილევსი“, რომლის ხელისუფლება გადადიოდა გაბატონებულ საგვარეულოს უფროსზე.

კოლხეთის პირველ მეფედ ხაბერძნეთის მითოლოგიაში მოხსენებულია აეტი, რომელიც წარმოდგენილია ძლიერ და მდიდარ მეფედ. აეტის სიმდიდრეზე ბერძნებმა შექმნეს მშვენიერი მითი ოქროს ხაწმისის მოტაცებაზე კოლხეთიდან და ეს გარემოება ჩვენ ერთგვარ ხაბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კოლხეთი ძველად მართლაც წარმოადგენდა ხაკმაოდ დაწინაურებულ ხამეფოს. ამას ხელს უწყობდა კოლხეთის გეოგრაფიული მდებარეობაც. მას ეჭირა შავი ზღვის ხანაპიროები, ხაიდანაც გადიოდა ე. წ. ინდოეთის ხავაჭრო გზა. ამის გამო უძველეს დროიდან კოლხეთი იზიდავდა ახალშენების მაძიებლ ხაბერძნეთის მეზღვაურებსა და ვაჭრებს დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან კი ძველი ირანის ბრძანებლებს, რომლებიც მოიხწრაფოდნენ შავი ზღვის ხანაპიროებისაკენ. ამის გამო, ორივე ეს მხარე ცდილობდა კოლხეთის ხანაპიროების ხელში ჩაგდებას და იქ თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიური ბატონობის განმტკიცებას. უკვე V საუკ. (ძვ. წ.) ჰეროდოტეს მოწმობით კოლხეთი მოქცეული ყოფილა ირანის გავლენაში და იგი შედიოდა მე-19 ხაგამგეო ხატრაპიაში: „მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები შეადგენდნენ მეცხრამეტე ხატრაპიას და იხდიდნენ ხამას ტალანტს. კოლხიდელები და მათი მეზობლები, რომელნიც ცხოვრობენ კავკასიის ქედის გადმოღმა (კავკასიის ქედის იქითა მხარე კი არ ემორჩილებოდა სპარსეთს), თავის ნებით დღეხაც უგზავნიან სპარსეთის ხელმწიფეს ძღვნად ახ-ახ უმაწვილ ვაუსა და ქალს ყოველ ხუთ წელიწდში ერთხელ“.

ამასთანავე კოლხეთში მოსახლე ტომები მოვალენი ყოფილან ირანის მბრძანებლებს მიშველებოდნენ ლაშქრით და იარაღით. ხარდლებსაც ირანის მეფეები ნიშნავდნენ და უმეტეს შემთხვევაში ხარდლებად ირანელები ყოფილან: მაკრონების და მოსინიკების ხარდალი, — ამბობს ჰეროდოტე, — იყო არტაიკტესი, შვილი ხერახმისა, მარების და კოლხიდელების ხარდალი იყო ფარანდატესი, შვილი ტეახპისა“.

ამგვარად, გაძლიერებული ირანის ძლევამოსილი ახემენელთა დინასტიის მეფეებს თავიანთი პოლიტიკური ბატონობა გაუვრცელებიათ კოლხეთზე, რომელიც მას ხარკს აძლევდა.

პირველ ხაუკუნეში ძვ. წ. პონტოში გაძლიერდა მეფე მითრიდატი VI ევპატორად წოდებული. მან დაიპყრო მცირე აზიის ქვეყნები და შექმნა ხაკმაოდ ძლიერი ბოსფორის ხამეფო.

მითრიდატმა თავისი გავლენა ჩქარა შავი ზღვის ხანაპიროებზე მოსახლე ხალხებზედაც გაავრცელა. კოლხეთის მეფეები კარგად გრძნობდნენ მითრიდატის ძლევამოსილობას და ცდილობდნენ სხვადასხვა დიპლომატიური ხერხებით მისი ბატონობის თავიდან აცდენას, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებულნი გამხდარან მიეღოთ მითრიდატის პოლიტიკური ბატონობა, რომელ მწერლის აპიანეს (I საუკ. ძვ. წ.) მოწმობით: „მითრიდატმა დაიმორჩილა მრავალი მეზობლად მყოფი ტომები, მათ რიცხვში გულადი ტომი კოლხებისა, რომლებიც ცხოვრობენ შავი ზღვის პირასაო“. სტრაბონის ცნობით, მითრიდატი მას შემდეგ, რაც კოლხეთი მის ხელში გადავიდა, ამ ქვეყნის გამგედ ან მოურავად ნიშნავდა ვისმე თავის მეგობართაგან, მათ შორის იყო, ამბობს სტრაბონი, აგრეთვე დედიჩემის ბიძა (პაპი ჩემის ძმა) მოაფერნიო.

მაგრამ მითრიდატის ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა კოლხეთში , მითრიდატის გაძლიერება აღმოსავლეთში და მცირე აზი-


(გაგრძელება მე-8, მე-9 გვ.)



გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ ჩვენი გაზეთის № 1.

(გაგრძელება)

ამი ხატრობეს უმნალდებდა რომის ბატონობას და ამიტომ რომის სენატმა გადაწყვიტა მითრიდატის დამარცხება და ეს ხაუმე მიანდო ცნობილ შეიდრომთავარს პომპეიუს. რამდენსმე შეტაკების შემდეგ პომპეიუსმა ყაბარიკეი და დამარცხებული მითრიდატი გააქცია კოლხეთში. ამის შემდეგ, როგორც ბერძნული-რომაული წყაროები გადმოგვაცემენ, პომპეიუსმა ფრიგიი შეიპარა მითრიდატეს შეტევა, რადგანაც მან პირველივეღამეს ეხეპარიებოდა სიმბეთის ზღრეი ბერეგის გასაერება. ეს ფარეშეები ბოალბოდეა სიმბეთის ბეფის ტიგრან დიდის დამორჩილებას, რომელთანაც მითრიდატი ნათესავურ კავშირში იყო. 66 წ. (ძვ. წ.) პომპეიუსმა გალილეაზე სიმბეთში და მან იგი ადვილად დაამარცხა. 65 წ. (ძვ. წ.) პომპეიუსმა ახლა ალბანეთის გალაშკრება კოლხეთში, სადაც ამ ეოფეიდეი მითრიდატი. მაგრამ ეს სამხედრო ოპერაცია ზურგის უზრუნველყოფოდან მოთიბრეფა ალბანეთის დამორჩილებასაც. ამ მიზნით რომის ლეგეონი ირეზნიდ და ტაკეარის ხეობით შეიეზა ალბანეთი და იბერიაში. იბერიის ფეხეი ალბანეთი ალბანეთ ეიო დამორჩილებიდან პომპეიუსს.

იბერიიდან პომპეიუსმა გალილეაზე კოლხეთზე, სადაც მას ეკუთვნიდა მითრიდატე. რომის ეარა ბდ. რიონით შეეიდა ეალ. ფაზისი (ფოთი), სადაც პომპეიუსს უეცდილ რომის ფლოტი ეარეალ-ლეთ. ბაგრან პომპეიუსმა აქ ხეალი ეეარ ნიგეალი მითრიდატი, რომელიც პომპეიუსის მიაბლოებებას კოლხეთიდან გაიქცა თავის ბიზეარის ხაბეეეში.

პომპეიუსმა კოლხეთი დაამარცხა და რომაელებმა აქ მეფედ დაიაეენეს არისტარხი, რომელიც ფუფლაც ხაბოდა ახეთი ეარეეარი: „კოლხეთის მეფის არისტარხისა".

ამგვარად კოლხეთი პომპეიუსმა დაუმორჩილა რომის ბატონობას და აქ მოხდა ტოტები ახლა მოეეეეენენ ეალალეარებული რომის პოლიტიკურ-ეკონომიკურ გავლენაში.

ხუთ. ა ბორეკარის ფუფლი.

ხეარბონის ცნობით, რომელიც რომაელებმა მითრიდატი ტაბტიდან ჩამოიყვანეს, მოელი მისი სახელმწიფოო დაიშალა და განაეენილეეეეი იქნა სხვადასხვა თავეარეთ ეარეარ. უკანასკნელ მეფეთ კოლხეთისა ეეეო პოლეონი, რომლის ხაეეეეთეს ეეეე

(გაგრძელება)

კოლხეთში ქრისტიანობის გავრცელებას ის გარემოებაც მოწმობს რომ, პირველ მსოფლიო კრებას 325 წ. დასწრებია ქალ. ფაზისის (ფოთის) ეპისკოპოსი.

ძველი მწერლების ცნობების მიხედვით ძველი კოლხეთი კულტურულ-ეკონომიურად საკმაოდ დაწინაურებული ქვეყანა ყოფილა, ამას ხელს უწყობდა სხვათა შორის თვით კოლხეთის გეოგრაფიული მდებარეობა, რომელსაც ეჭირა შავი ზღვის სანაპიროები. აქედან გადიოდა ინდოეთისაკენ მიმავალი დიდი სავაჭრო გზა. თვით კოლხებიც დაწინაურებულნი ყოფილან ვაჭრობაში და წელოსნობაში. განსაკუთრებით ლითონის დამუშავებაში. ამ დარგში თავი გამოუჩენიათ მოხინიკებს, რომლებიც ამზადებდენ განსაკუთრებული ელვარების მქონე თითბრის ჭურჭელს „მოხსინად" წოდებულს.

სტრაბონის მოწმობით, კოლხიდელებს მის დროსაც, ბლომად გამოჰქონდათ მადნებიდან ოქრო, ვერცხლი და რკინა. სვანეთის ოქროს ქვიშიან ნაკადულების შეხახებ ძველმა მწერლებმა მრავალი თქმულება დაგვიტოვეს.

ლითონისაგან კოლხიდელები სახმარ ჭურჭელთან ერთად ამზადებდნენ აგრეთვე სამკაულებსაც. ბავშვანთი ნაწარმოები მათ გასახყიდად გამოჰქონდათ შინაურ და უცხოეთის ბაზარზე.

ამას გარდა უცხოეთის ბაზარზე გასახყიდად გაჰქონდათ: ხომალდების ასაშენებელი ხე-ტყე, ხელი, კანაფი, ცვილი, კუპრი და სხვა. ხელისაგან კოლხები ქსოვდენ საუკეთესო ტილოს, რომელიც ერთგვარ მეტოქეობას უწევდა თურმე ეგვიპტურ ტილოს. „ეს ქვეყანა (კოლხიდა) მდიდარია სხვადასხვა ნაყოფით და გემთსაშენ მასალითო: მზადდება დიდძალი ხე-ტყე, რომელიც გადაქვთ მდინარეების საშუალებით. ჭარბად ამზადებენ ტილოს, ცვილს, კუპრს და სხვ. ტილოს დამზადებაში მათ სახელიც მოიხვეჭეს და აქაური ტილო გაიქვთ უცხოეთის ქვეყნებშიო".

ჰეროდოტეს მოწმობით: „მარტო კოლხები აკეთებენ ტილოს იმ რიგადვე, როგორც ეგვიპტელები. ბერძნები სარდონის ხელს ეძახიან იმ ხელს, რომელიც კოლხეთიდან მოაქვთ, ეგვიპტიდან შემოტანილ ხელს კი ეგვიპტურს უწოდებენო".

კოლხეთში მიწათმოქმედებაც საკმაოდ განვითარებული იყო. მოჰყავდათ დიდი რაოდენობით ხორბლეული, რომლის შესანახად დიდ ხარდაფებსაც კი აგებდენ. მიხდევდენ აგრეთვე მეხაქონლეობას. ქსენოფონტეს ცნობით, კოლხები ტრაპეზონით აგზავნიდენ მსხვილფეხა ხაქონელს გასახყიდად სხვადასხვა ქვეყნებში.

კოლხეთში კარგი სავაჭრო ქალაქებიც არსებობდა, მათ შორის ცნობილი იყო დიოსკურია (სებასტოპოლისი). დიოსკურიას ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონია მეზობელ ქვეყნებთან. უმთავრესი სავაჭრო გაგანი მისი აღებ-მიცემობისა მარილი იყო. სტრაბონის მოწმობით, ქალაქი დიოსკურია წარმოადგენდა საერთო სავაჭრო ადგილს გარშემო მცხოვრებთათვის. აქ იკრიბებოდა 70 სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ერი. მეორე მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი, კოლხეთისა, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობაში, იყო ქალ. ფაზისი (ფოთი), რომელიც მდებარეობდა ინდოეთის სავაჭრო გზაზე და წარმოადგენდა სავაჭრო საქონელის ბრუნვის დიდ ნავთსადგურს.

ინდოეთის ამ სავაჭრო გზაზე საქონლის გადაზიდვა სწარმოებდა ამგვარად: ქალ. ფაზისიდან მდინარე ფაზისით (რიონით) სავაჭრო საქონელი გადაჰქონდათ ნავებით ციხე-ქალაქ სარაპანამდე. აქედან საქონელი უნდა გადაეზიდათ ზურგით ან სახედრებით მდ. ყვირილას დაკლაკნილ ხეებში, სადაც ასოცჯერ უნდა გადასულიყვნენ ხიდეებზე. შემდეგ ოთხი დღის საურმე გზით საქონელი გადაჰქონდათ მტკვრის ხეობაში (ბორჯომის ხეობა). ამ საქონელს იხევ ნავებზე გადატვირთავდენ და იგი მტკვრით კახეთის ზღვამდის ჩაჰქონდათ, საიდანაც გზა ინდოეთისაკენ მიდიოდა.

ერთი სიტყვით, ძველად ცნობილი იყო ინდოეთის სავაჭრო გზა, რომელიც ირკანიის (კახეთის) ზღვით შემოდოდა მტკვრის პეობით ალბანია-იბერიაში და შემდეგ ყვირილა-რიონით კოლხეთში. მას ბოლო ჰქონდა ქალ. ფაზისში. ამ სავაჭრო გზით უცხოელებთან ერთად, რასაკვირველია, კოლხებიც სარგებლობდენ და ისინიც გაცხოველებულ მონაწილეობას იღებდენ იმ დიდვაჭრობაში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. კოლხებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ შავი ზღვის პირას მდებარე საბერძნეთის ახალშენებთან და ეს გარემოება ხელს უწყობდა კოლხეთის საბერძნეთთან კულტურულ-ეკონომიურ დაახლოვებას. ვაჭრობის განვითარება-დაწინაურებას ჩქარა მოჰყვა ფულის ნიშნების ტრიალი და ბერძნული ფულების წაბაძულობით უკვე მე-V საუკუნიდან ძვ. წ. კოლხეთშიც ჩნდება საკუთარი ფული, რომელიც ცნობილია „კოლხურად", ვერცხლის ეს ფული იჭრებოდა დიდრაქმიანი და ნახევარ დრაქმიანი (წვრილი). იგი მრავლადაა აღმოჩენილი დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიის ფარგლებში. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ახეთი ფული სხვაგან არ არის აღმოჩენილი და ეტყობა იგი უმთავრესად ტრიალებდა კოლხეთის ფარგლებში. კოლხური ფულის ერთ მხარეზე ამოკვეთილია გრძელთმიანი ქალის თავის პროფილი, რომელიც რკალშია ჩასმული, მეორე მხარეზე კი ხარის თავი, რომელიც ქვეყნის მეურნეობის მთავარ დარგის, მეხაქონლეობის მაჩვენებელია და თვით ფულის პირვანდელი სახელწოდებაც ამ სავაჭრო (სავალუტო) ხაქონლის ექვივალენტი იყო. ამას ისიც მოწმობს, რომ ფულის აღმნიშვნელი ძველი ლითონური ტერმინი „პეკუნია" პირუტყვს ნიშნავდა. ასეთივე მნიშვნელობით იხმარებოდა ძველი ქართული „ხვასტაგი", რაც ერთი და იმავე დროს ნიშნავდა ფულსა და ოთხფეხა საქონელს.

ფულის მოჭრა ამასთანავე დამოკიდებულია ძვირფას ლითონის მარაგზე და კოლხური ვერცხლის ფულის სიმრავლე აშკარად ამოწმებს ძველი მწერლების ცნობებს კოლხეთის ამ მხრივ სიმდიდრეზეც.

განვითარებული ვაჭრობა მოითხოვდა სათანადო ხელშემწყობ პირობებს: ადვილ მიმოსვლას, კარგ გზებს, დასასვენებელ ადგურებს, გზის დაცვა-უშიშროებას, პირადი და ქონებრივ ხელშეუხებლობას და სხვა. კოლხებს მართლაც უზრუნვიათ ამ სავაჭრო გზის მოწესრიგებისათვის. გზების ნაპირას აღმართული ყოფილა ქვის ფიქალები (ტაბლიცები), რომლებზედაც ნაჩვენები იყო გზების მიმართულებანი და მგზავრთათვის დასასვენებელი ადგილები. კოლხები დახელოვნებული ყოფილან, გზების მიმართულების ცოდნაში, რასაც ფიცარზე ხატავდენ, რუკის მსგავსად და მგზავრობის დროს თურმე თან ატარებდენ.

აპოლონ როდოსელის და მისის ხსოლიასტის სიტყვით, კოლხიდელებს ჯერ კიდევ ძველთაგანვე ჰქონდათ წინაპართაგან დასწავლილი თავიანთ სამგზავროდ. ზღვისა და ხმელეთის გზების ფირფიტებზე გამოსატვა. ეს ფირფიტები ჯერ ქვისა იყო და შემდეგ ხისა. მათ ეწოდებოდა კორბეისი. უეჭველია, რომ ეს ფირფიტები ნასახია ლანდკარტებისა და ადგილი საფიქრებელია, რომ ჰეროდოტეს თვალწინ ჰქონდა ამისთანა ფირფიტები, როცა ჩამოსთვალა ჩრდილოეთის სავაჭრო გზები ბორისთენისა და პონტოს მიდამოებში.

სტრაბონისა და პლინის მოწმობით, მდინარე ყვირილაზე სავაჭრო ხასიათის დიდი შენობები ყოფილა გაშენებული. რომ არ შეფერხებულიყო ნაოსნობა, ადგილობრივი ხელისუფლება ზრუნავდა რიონისა, ყვირილასი და მტკვრის ხეობების ამოწმენდაზე და ხურამის ქედზე გადასასვლელ გზის დაცვა-შეკეთებაზე. მდინარეებზე გადასასვლელად ხიდები ყოფილა გამართული. სტრაბონის ცნობით ფაზის მდინარეზე ას ოცი ხიდი ყოფილა გადებული. სტრაბონი ამბობს. „ფაზის მდინარე ჯერ ნელ-ნელა და ფრიად მიხვეულ-მოხვეულად მიდის, რასაც ამტკიცებს ის ასოცი ხიდი, რომელიც გადებულია იქ და რომლის შემწეობით კაცმა უნდა გადაიაროს და გადმოიაროს ეს მდინარე".

პ. უსლარის აზრით, ინდოეთიდან წამოღებული საქონელი კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე მრავალჯერ უნდა ამოეზიდნათ მდინარეებიდან და ხან ხმელეთით და ხან ისევ მდინარეებით უნდა ეტარებინათ. ყოველივე ეს ნიშნები სატრანსზიტო ვაჭრობისა ამტკიცებს, რომ კავკასიაში მიმოსვლა კეთილმოწყობილი ყოფილა და უშიშარი. ეჭვს გარეშეა, რომ უძველესს დროში ფაზისზე (რიონზე) დაჰყავდათ სავაჭრო გემები. შორაპნის ზევით საქონელი დაჰქონდათ მდინარის ზემო ნაწილის დაყოლება, დაკლაკნილ ხეებში, სადაც ასოცჯერ უნდა გადასულიყვნენ ხიდებზე. კულტურულ-ეკონომიურად დაწინაურებულ კოლხეთს უნდა ჰქონოდა თავისი მწერლობაც, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ ცნობები არ მოგვეპოვება. არსებული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ კოლხები სარგებლობდენ ბერძნული დამწერლობით, რასაც მოწმობს სხვათაშორის კოლხურ ფულებზე გამოსახული ბერძნული ასოები და აგრეთვე კოლხეთის მეფის არისტარხის ფულზე ბერძნული წარწერა.

(გაგრძელება იქნება)




**სურათებზე:** რომაული ფულები. აღმოჩენილია სოფელ ეკში.



სენაკის გარეუბანში მდებარეობს საკალანდარა-შვილოს XIII საუკუნის ეკლესია, რომლის აღდგენა-რესტავრაცია მომავალ წელსაა განზრახული.

**თამაზ ჭიჭავას**
ფოტო



# ტრაგიკული დაბრუნება

ეს ახალგაზრდა დონეცკიდან ჩამოახვენეს. არავინ იცის, ვინ წაართვა დედისერთას სიცოცხლე... ძაძებში გახვეული მთელი ჩხოროწყუ დასტიროდა ზაალ გახარიას და ამითღა ანუგეშებდა უნუგეშოდ დარჩენილ დედას. ზაალივით ლამაზი იყო. მასთან გამოთხოვების დღეც. არსად მინახავს ამდენი ვარდ-ყვავილები, ცრემლი და შავები... მის კუბოს თავს დასტრიალებდნენ თანატოლები. მერედა, რამდენი იყვნენ... დარჩეული, ჭიშიანი, ხხივიანი, უბედურებით გათანგული, მაგრამ მაინც ამაყი ახალგაზრდები, ფიცს რომ ხდებდნენ ძმაკაცის ცხედართან.

იმ დღეს მეგრული მოთქმა-გოდება დედა-შვილის უკიდეგანო ხიყვარულზე ღაღადებდა. ბევრი ტკივილი ლექსიც ითქვა და არაერთი გამოსათხოვარიც. აი, ერთ-ერთი მათგანი: „რამდენი ცრემლი გვქონია შენთვის „შენახული" ძმაო ზაალ. განგებამ ასე ინება — შენი წილი უნდა დაგეპკუროს, როგორი ცეცხლი გაგვიჩინე!... გვინდა რაიმე სათაკილო მოვიგონოთ შენი ცხოვრებიდან, იქნებ, გავუძლოთ უბედურებას, გადავიტანოთ, შევიმსუბუქოთ იგი, მაგრამ უნაკლო და უხინჯო იყავ, ძმაო. შენი 25 წელი, ჩუმი ტკივილით სავსე წლებია. შენ ძალიან დიდი და კეთილი გული გქონდა და ამ გულის შეხაფერისი ცისფერი თვალები, მუდამ მხიარული, იშვიათი კაცთმოყვარე...

როგორ არ გიყვარდა შავი ფერი... და მაინც ყველა ძაძით შეგვმოსე. იქნებ, ხიყვარული დაგრჩა გაუმხელელი, იქნებ, გენატრებოდა ვინმე, იქნებ, გინდოდა დედაშენისთვის, მეგობრებისთვის, ახლობლებისთვის გეთქვა რაიმე და... ტუჩებზე შეგაცივდა ეს სათქმელი, ვაი, ზაალ! რა უცებ დაასრულე სიცოცხლე. ჩვენ კი გვეგონა, ვერაფერი მოგერეოდა, ტყვიას ხელით დაიჭერდი. ვფიქრობდით, სიკვდილს შენს თავს არ დავანებებდით, მაგრამ... ვაი რომ, შორს იყავ და ვერაფერი გიშველეთ. უკანასკნელად ვართ შენს გვერდით, მიგაცილებთ ხამუდამო ხამყოფელამდე, მარტო არ დაგტოვებთ, ყოველ დღე მოვალთ და მოგიყვებით ახალ ამბებს, ზაალ, ბიჭო! ცხოვრება იმ გზით მიდის შენ რომ გინატრია, როგორ ვერ მოესწარ დღეხასწაულს — მთელი ხაქართველო ახე სახოებით რომ ელოდება და, რისთვისაც არაერთი სიმღერა მიგიძღვნია. ჩვენთვის უკვდავო, ნათელი იყოს შენი გზა"...

25 წლის ზაალ გახარიას გასვენების დღე გამოჩენილი და ღვაწლმოსილი მხცოვანი ხაზოგადო მოღვაწის პროცესიას გავდა. და ეს დიდი ხიყვარული თუ პატივისცემა მან ბავშვობიდანვე დაიმსახურა... ორი წლისა იყო, როცა დედ-მამა ერომანეთს გაცილდა. ზაალი დედასთან და ბებიასთან იზრდებოდა. მისგან სულ ახლოს იტანჯებოდა შვილზე უზომოდ შეყვარებული ხრულიად ახალგაზრდა მამა, რომელმაც ვერა და ვერ მოიგო სიდედრის გული და... ოჯახის დანგრევის მიზეზიც ეს გახდა. ზაალის მამის უბედურებას ისიც ამწვავებდა, რომ სიდედრი ერთადერთი პირმშოს ნახვის უფლებასაც კი არ აძლევდა.

..ზაალი სამი წლისა იყო, ხის თოფით რომ დაეძებდა მამას „მოსაკლავად"... ეს გადაწყვეტილება კარგა ხანს გაყვა. უმამობით შეურაცხყოფილი შურისძიების გზებს ეძებდა, თურმე. კეთილმა ადამიანებმა მაშინღა სიმართლე უთხრეს. შეეცოდა მამა, მაგრამ დედის და ბებიის ხიყვარულმა გადასძალა.

სკოლაში განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა ზაალი. კარგად სწავლობდა. საოცრად მუსიკალური იყო, მშვენივრად ცეკვავდა და უკრავდა გიტარაზე. სპორტიც იტაცებდა. მასწავლებლები მას ნათელ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა და თბილისს გაემგზავრა. არც პროტექტორი ყავდა და არც „გასამრჯელო" ებადა. ბოდა, ვერც ჩაირიცხა!... მაშინ უთქვამს მეგობრებისთვის, ამქვეყნიური უნამუსობა მისაღებ გამოცდებზე ვიგრძენი პირველადო. შეურაცხყოფილი აბიტურიენტი არ დაბრუნდა ჩხოროწყუში, ქალაქში დარჩა ახლობლებთან და რეპეტიტორთან დაიწყო მეცადინეობა. დედაქალაქში ცუდი ახალგაზრდების წრეში აღმოჩნდა და მათაც ისარგებლეს სოფლიდან ჩამოსული გულუბრყვილო ბიჭის ხასიათით... ხასჯელი რომ მოიხადა, გულგატეხილი და ხაზოგადოებისადმი უნდობლად განწყობილი დაბრუნდა. რამდენიმე თვე შინ იყო ჩაკეტილი, ხალხთან შეხვედრასაც კი ერიდებოდა. ბოლოს ხულაც გაეცალა იქაურობას და რუსეთისკენ გაუდგა გზას. იშვიათად ჩამოდიოდა ჩხოროწყუში და მაშინაც ხახლში იჯდა დედასთან. მეგობრებიც შინ აკითხავდნენ, ახე გადიოდა ერთი-ორი კვირა, შემდეგ... კვლავ რუსეთი. გასულ წელს გარდაეცვალა მამა. თავი ქუდში ჩაუმალავს და ხმამაღლა უბღავლია. მამას წლისთავი გადაუხადა და... ისევ რუსეთი.

არავინ უწყის, რა მოხდა... ერთი კვირა კი წოლილა დონეცკის ერთ-ერთ საავადმყოფოს ხარეამინაციოში...

არავინ იცის, რა მოხდა...

ზაალ გახარიას სიკვდილი გზასაცდენილი ახალგაზრდა კაცის ფათერაკიანი გზის დასასრული არ გახლავთ. მას თითოეული ჩვენგანის უსულგულობის კვალი აჩნია: ზაალის დალუპვას ხელი შეუწყო ყველამ, ვინც კი წაუყრუა მის პირველ შეცდომას, არ გაუწოდა ხელი, არ შეანჯღრია, არ მოეფერა, არ დატუქსა; ვინც წინ არ აღუდგა მის რუსეთში გამგზავრებას. როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს ეს სტრიქონები ზაალის დედისთვის, არ შემიძლია არ ვუსაყვედურო მასაც! როგორ არ შესძრა ქვეყანა, როგორ არ ჩაიცვა რკინის ქალამანი, ვერ მოთოკა შვილი და „კაბის კალთაზე არ გამოიბა"...

ხაუბედუროდ, ზაალი გამონაკლისი როდია. უკანასკნელ ხამ თვეში ფოთსა და ზუგდიდის რაიონში რამდენიმე ყმაწვილი ჩამოასვენეს რუსეთიდან. და ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი (განსაკუთრებით ხამეგრელოს რეგიონიდან) უსაქმურად დაეხეტება რუსეთის სხვადასხვა ქალაქში და ფათერაკს ეძებს. ადვილადაც პოულობს, ვინაიდან ბევრ რუსს ყველა შავგვრემანი ქართველი გონია, ქართველი კი.... ავაზაკი! დღეს, როცა განსაკუთრებით დაძაბულია ურთიერთობა ჩვენს ჩრდილოეთელ მეზობელთან, როგორმე გამოვარიდოთ ჩვენებურები იქაურობას. ახლა ხომ ხაქართველოს, ისე როგორც არასდროს, ჰაერივით სჭირდება ახინი, მათი ერთგულება, ვაჟკაცობა, უშრეტი ენერგია და ხალი აზროვნება; დღეს, როცა როგორც არასდროს, საჭიროა ჩვენი ერის კონსოლიდაცია, ერთმანეთის ხიყვარული. მიტევება, ყველა ქართველის ხახიცოცხლო ხაქმის — ხრული დამოუკიდებლობის მოხაპოვებლად.

**ჩვენი გაზეთი მიმართავს ჩხოროწყუველ ახალგაზრდებს, ჩამოაპალიბონ ხამეგრელოს რეგიონში ხაბანგებო ხაზოგადოება, თუნდაც „დაბრუნება", რომელიც ხათავეში ჩაედგება რუსეთში გადახვეწილი ახალგაზრდების ხამშობლოში ჩამოყვანას.**

„გზა ერთობისა" კი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ ღონისძიებაში — უზრუნველყოფს დაბრუნებულთა ხამუშაოზე მოწყობასა და სტუდენტების რესპუბლიკის შესახამის უმაღლეს სასწავლებლებში გადმოყვანას. ეს უნდა გაკეთდეს მანამ, ვიდრე გვიან არ არის, ვიდრე ზაალივით არ „დაგვიბრუნდებიან" მისი თანატოლები. ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ახალგაზრდების სიცოცხლე, მათი მომავალი, ჩვენი ერის სახული და დიდება, ვთხოვთ მხარში ამოგვიდგნენ. ეს ყველას ხაქმეა!

**კლარა აბრამია**

# მერაბის ხსოვნას

**წალენჯიხაში**, ხამეგრელოს ამ ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეში გაიხსნა მერაბ კოსტავას სახელობის ხაცხენოსნო ხპორტული კლუბი.

... იყო დრო, როდესაც წალენჯიხელები ტოლს არ უდებდნენ ცხენოსნობაში ცნობილ ხპორტსმენებს, „ისინდი", ცხენბურთი — მარულა, — ყველგან პირველები იყვნენ. ქართულ ეროვნულ ცხენოსნურ ხპორტს ახხოვს გვეგვე მიქავას, ვალოდია ჭანიას და ხათა კვარაცხელიას სახელები. თავის დროზე მოსკოველ მარშალს ხ. ბედიანის ხათა კვარაცხელიას დატოვება უნდოდა მოსკოვში. ხათას უარი უთქვამს და ხამშობლოში დაბრუნებულა.

თუმცა მშობლიურ მხარეში უყურადღებობამ გული გაუტეხა ცნობილ ხპორტსმენებს. მათ ზოგჯერ ლუკმა-პურიც კი ენატრებოდათ. დღეს ცხენოსნობამ კვლავ გამოიღვიძა წალენჯიხაში, მამა-პაპათა ხიჩაუქემ კვლავაც წელში გამართა ისინი. მერაბ კოსტავას სახელობის ხაცხენოსნო-ხპორტული კლუბის გახსნაზე ეს აშარად იგრძნობოდა.

კლუბს გააჩნია ადგილობრივი მეგრული ჯიშის ცხენები, მწვრთნელთა ოთახი, ხამედიცინო კაბინეტი, კინოხაპროექციო.

იმ დღეს ქალაქის იპოდრომ-ხტადიონზე ჩატარდა აგრეთვე დაბრკოლებათა გადალახვა ცნობილი ცხენოსნობის ორგანიზატორის რევაზ (ვიკა) კორძაიას ხსოვნის პრიზზე. პრიზი დაისაკუთრა წალენჯიხელმა პირველთანრიგოსანმა პაატა კვარაცხელიამ.

დოღში ადგილობრივი ჯიშის ცხენებით 2600 მეტრზე პირველი იყო აბაშელი რაიბული ჩაჩავა, მეორე ადგილზე წალენჯიხელი რაჯი ჩიქობავა. არაბულ ცხენთა ახპარეზობაში კი იმავე 2600 მეტრზე დოღში თავი გამოიჩინა ზუგდიდელმა რამინ ლაგვილავამ, მეორე ადგილი წილად ხვდა წალენჯიხელ ლაშა შანავას.

ჟველაზე ხაინტერესო იყო ვეტერან მხედართა დოღი 2000 მეტრზე არაბული და ჭმინდახიხლის ცხენებით. მასში მონაწილეობა მიიღეს წალენჯიხის, ჭუთაისის და აბაშის ცხენოსნებმა. ახპარეზობა მოიგო 82 წლის ვეტერანმა წალენჯიხის მკვიდრმა ბოჩია კვარაცხელიამ.



# მწერალი მაშინ ოცი წლის იყო...

რუბრიკა ცნობილია, კონსტანტინე გამსახურდია ბიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1911 წელს სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა გერმანიაში. მისი ლექსი „ვაჟას“, სწორედ ქ. კენისბერგშია დაწერილი. ლექსი ხელმოწერილია კ. აბაშისპირელის ფსევდონიმით. დაიბეჭდა იგი „სახალხო გაზეთში“ (სურათებიანი დამატება) 1913 წლის 29 ივნისს (№ 164). მწერალი მაშინ ოცი წლისა იყო. დანარჩენი ორი ლექსიც „მიყვარს ნასარი“ და „მე ისევ მოველ“ გამოქვეყნდა ამავე გაზეთში 1913-1914 წლებში. აღნიშნული ლექსები არ არის შესული მწერლის დღემდე არსებულ გამოცემებში.

## ვაჟას

### (მისი იუბილეს მოლოდინში)

შენი ფანდურის ჭირიმე, არწივო მაღალ-მთისაო —
მთების დუმილიც რომ გესმის, ვით ძმასა წყლული ძმისაო,
მთათა მაღალთა არ შვენის ბორკილი ედვას მტრისაო.
„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შავებრალოთ რისადა?“
ყურს ჩასძახოდი მძინარ მთებს იწვევდი ხოცვად მტრისადა —
ცრემლი გდიოდა, როს ჭვრეტდი მთას გადმომზირალს მქისადა;
სოფელი ასე მქმნელია, ვინ სად დაეცეს ვინ სადა!
ხედავდი არწივს დაჭრილსა, ყვავებს რომ ეომებოდა
მთის ხიამაყის სისხლითა, სვავი და ძერა ძღებოდა,
მთაო, მძინარეს მტრის ხელში ნეტამც არ გამღვიძებოდა.
მთას ნისლი ამკობს, ველს — მდელო, ფანდურს კი — ცრემლის მძივები,
შენი ფანდური სხვას არ ჰგავს, სიმათ აქვს მზისა სხივები
მთანი ბრძოლადა შეჰყარე სალაშქროდ განამწკრივები.
შენი ფანდურის ჭირიმე, გულს მიტკბობს მისი ყღერანი
ამირან ჯაჭვს თუ გასწყვეტავს, რას დააკლებენ ძერანი,
მტერს ფიცხლად უნდა ეკვეთოს, შორით რას არგებს მზერანი.
მთების მუზარადს შეჰხედე! ტანზეც ისხამენ ფარ-ხმალსა,
მთა ფრანგულს ისე შეჰნატრის — ვითა მუშაკი ნამგლისა
მტერს ისე დაერევიან, როგორც მინდია სამკალსა.
ცეცხლად დაჰკვესავს მაშინა შენი ღვთიური ქნარია:
„ათას ცოცხალსა ბევრჯელა — ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია“..

**კ. აბაშისპირელი**

კინისბერგი.

„სახალხო გაზეთი“ (სურათებიანი დამატება) 1913 წ. 29 თიბათვე, № 164

## მიყვარს ნასარი

მიყვარს ნასარი
უდროოდ მჭკნარი,
მიყვარს ცხოვრების ტკბილი სიზმარი,
ნაღვლიან სახის ღიმი უსასო,
შეუცნობ ფიქრის ყოველი ასო,
სულის სარკეზე როს იხატება.
და ვნების ალი
სანთლის ფერ ფონზე,
ვით ნაპერწკალი
ჩამქრალ კოცონზე,
ხან ჩაიფერფვლის, ხან ისევ კრთება...
— გაყრის ცრემლები, სასოს წარკვეთით
საყვარლის ღაწვზე რომ მისვამს წვეთით,
— ქალი, რომელსაც გულის ნაცვლად ქვა
მღელვარე მკერდ ქვეშ უტარებია
— ტუჩი, რომელსაც ვნების ალმურად არავის
სუნთქვა მიჰკარებია.
— გრძნობა უაზრო,
გრძნობა უსაზღვრო,
სნეულ ბალღივით როცა თვითნებობს.
— ოცნება მასზე, რაზეც არავინ, არა რას
ჰფიქრობს,
არას ოცნებობს...

რითმთა თამაში,
რითმათა ბგერა,
ბნელ გამოთქმაში
აზრის დაჭერა.
ჯერეთ აკვანში ჩამომესმოდა ჩუმი ქვითინი
ჩანგის სიმისა,
რითმთა ცქრიალი
რითმთა ტიტინი,
ვით ფრთათ შრიალი
ქერუბიმისა.
და იმ დღიდან შევიყვარე
სიტყვა ტკბილი, სიტყვა მწარე;
მზის სხივივით გულის მთბობი,
სიტყვა ლაღად მონარნარე,
სიტყვა, გრძნობის წარმომშობი,
მკვიდრი, ვითა ბაზალტის ქვა,
მოქანდაკის ხელით თლილი.
გულის შხამიც და მალამოც
ელვის ისრად მოსხლეტილი,
სიტყვა მწარე, სიტყვა ტკბილი...

• • •

მიყვარს ის, რაიც კარგად არ ვიცი
მართლა მიყვარს, თუ ძილში მეზმანა;
შეუძლებლობის უტეხი ფიცი,

შეუძლებლობის სურვილთ ქვეყანა —
— ყველას ის, რასაც ცვალებადობის
ჭირვეულ გრძნობის
ბეჭედი აზის,
წამი სიგიჟის, წამი დათრობის,
უაღრესს ტკბობის
ტკბილი ექსტაზის.
მე იგი მიყვარს, რაც დასაბამით შეჰფარებია
აკრძალვის კარებს,
მე იგი მიყვარს, რაც სხვას არ მოსწონს, სხვა ვერ
მისწვდება ვერ შეიყვარებს.

**კ. აბაშისპირელი**

„სახალხო გაზეთი“ (სურათებიანი დამატება) 1913 წ. 16 თიბათვე (№ 162).

## მე ისევ მოველ

✦✦

**მე ისევ მოველ, ვით ღრუბლის ქულა,**
**ატლასის ცაზე რო მიილულა,**
**ტბის ლურჯ თვალებმა რო გამოსახა,**
**მე იმას ვამბობ რაც დოინისომ ყურს**
**ჩამჩურჩულა,**
**ცით ჩამომძახა.**

✦✦

**მე როგორც მოველ, ისე დავდნები**
**გუშინ ვიყავი — ხვალ არ ვიქნები.**
**მე ცის ნაში ვარ**
**მზით ანაშრობი,**
**მე თვით წამი ვარ**
**წამით ნაშობი.**

✦✦

**სიზმარი, მაგრამ მკვეთრი**
**თვით ცხადზე**
**ნისლის ნაფლეთი**
**ცხელ მზის ღადღადზე,**
**ჭოჭყზე ამდგარი**
**და ანატეხი —**
**მზისგან ნატყორცნი ვერცხლის ისარი**
**ტბის ფოლად მკერდზე გადანატეხი**

✦✦

**მე როგორც მოველ, ისე დავდნები,**
**გუშინ ვიყავი, ხვალ არ ვიქნები.**
**მე არც კი მახსოვს ღმერთთა ამბორის**
**შეხებამ თვალი ვით ამიხილა, —**
**მე ისე ვჰყვავი ყვავილთა შორის,**
**ვით ტყის ბილილა!**

✦✦

**მე ვამბობ: ჩემ სულს სახე დაფარულს,**
**შორს სადღაც ტევრში მიეძინება**
**ვით ღრუბლის ქულას უგზოდ მოარულს**
**შავ-ბნელი ფლასი დაეფინება.**

**კ. აბაშისპირელი**

„სახალხო გაზეთი“. (სურათებიანი დამატება) 1914 წ. 25 მაისი (№ 211).

**მოგვაწოდა სულიკო ნუცუბიძემ.**

# აკაკი—150

## აკაკი

## მცირე რამ

**თავად-აზნაურობის** მაძიებელმა მეგრელებმა ბევრი სხვა-და-სხვა საგვარეულო საბუთები წარმოადგინეს. ზოგი მათგანი ოთხას-ხუთასი წლის არის. საკვირველია, როგორ მოაწიეს იმ ნაწერებმა ამ ჩვენ დრომდე? ჩვენ რომ საერო წიგნები გვქონოდა, ის სხვა იქნებოდა, მაგრამ ეს კი მამაპაპებს საშვილიშვილოთ, კერძოდ გადმოუციათ. ვინ იცის ამ საბუთების მქონე ვვარებს საუკუნოების განმავლობაში რამდენი მთა და ბარი გადაუვლიათ და რამდენი განსაცდელი უნახავთ?!. დღეს აქ სახლებულან, ხვალ იქ, მრავალგვარი ჭირი და ლხინი აუტანიათ, ბევრი რაშაც დაუკარგავთ და ეს საშვილიშვილო საბუთი კი ამ ჩვენ დრომდე მოუტანიათ უხრწნელათ! უბით უტარებიათ, როგორც ხატი და ავგაროზი!... ცოდვაა, რომ ამისთანა ხალხის მომავალზე იჭვი იქონიოს ვინმემ...

„კვალი“, 1895 წ. 2 მაისი (№ 22)

## საყურადღებო ამბავი

**სამეგრელო.** თუმცაღა ზოგიერთმა ვაუბატონებმა ამ რამდენიმე წლის წინათ მეგრელებს ცუდი სახელი დაგვიგდეს ჩვენ მოძმე ქართველებში, ვითომც და მეგრელნი უცოდინარნი არიან ქართულის ენისაო და სხვ... მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა. ჩვენ არ გვეგულება ისეთი მეგრელი, რომელსაც თავისი დედა ენა, ე. ი. ქართული არ ესმოდეს. ხოლო ის ვაუბატონები, რომლებმაც ხაჭვეყნოთ აღიარეს მეგრელებს ქართული ენის უცოდინარობა და ვითომც მეგრული ანბანებიც შეუდგინეს (იგულისხმება აშორდია, ტ. კ.), იმათ დღეს უარყოფენ და წყევლა-კრულვით იხსენებენ მეგრელები. რაიცა შეეხება მეგრელების ხასიათისა, უნდა მოგახსენოთ, რომ საზოგადოთ მეგრელები ისეთი თვისებისანი არიან, რომ თუკი კაცმა გულწრფელობით გადაუშალა თავისი გულის საიდუმლო, თუ კი კაცათ იგულა ისინი, ასეთი ადამიანი ფოლადის ჯაჭვით მიიჭედავს მათ. ხრულს თავისას ძალ ღონეს, ნდობას, სიყვარულს და თანაგრძნობას იმას შეწირავს. მაგრამ ასეთმა მეგობარმა თუ ქვეშ ქვეშ დაიწყო ყურება. ვინიცობაა, ფერი იცვალა და თავის ქნარი ხულ სხვა ჰანგზე ააყვირა, მაშინ მეგრელი არც იმის ჭირს მიხედავს და არც იმის ლხინს... ეს რომ ასეა და მეგრელებიც ყოველ ქართველ კაცს თავის ღვიძლ ძმად თვლის და იმათ სიხარულ-მწუხარებაშიც მონაწილეობას იღებს, ამის დასამტკიცებელ საბუთათ მოვიყვანო ჩვენ საყვარელ პოეტს ბ-ნს აკაკის და მის წრეკანდელს ავათმყოფობას. რაკი სამეგრელოში ბ-ნი აკაკის მძიმე ავათმყოფობის ხმა გავარდა, დიდი, თუ პატარა, ყველა ღმერთს ევედრებოდა, რათა იმისი სიცოცხლე და მისი „ბულბულისებური ენა სამშობლოსადმი მრავალ-ჟამიერ ყოფილიყო“. ხშირათ გაიგონებდით: „ჩვენი სულის და გულის დამატკბობელი და ხევდის განმაქარვებელი პოეტი აკაკი ავათ ყოფილა, ღმერთო შენ შეეწიე და მიეცი დღეგრძელი სიცოცხლეო“... საბედნიეროთ არ გაუვლია დიდს ხანს და გაზეთებმა აუწყა ყველას, რომ ბ-ნი აკაკი ახლა უკეთ არისო და იმედიცაა მალე მორჩესო. ამ ამბით ყველამ გაიხარა ჩვენკენ, გაიხარეს და დღესაც ხარობს ყველა.

**ტრიფონ კალანდარიშვილი**
საკუთარი კორესპონდენტი სამეგრელოში.

„ კვალი“, 1895 წ. 6 იანვარი (№ 2)

აკაკი ზუგდიდში. 1912 წ. 6 მაისს.
ბერიძის პატრონი ქალის ალექსანდრეს ქნარი ეჭირა.

ლავრენტი საბახტარაშვილის ფოტო.

**დუტუ მეგრელი**

## პოეტს

(ვუძღვნი აკაკის)

იწვის პატრუქი და დნება
თანდათან წმინდა ხანთელი
და ჰფანტავს წყვდიადს გარშემო
ძლევამოსილი ნათელი.
მაგრამ ვაი, რომ რაც უფრო
სანთელი ცხოვლადა იწვის
და მეტად აშუქ-ანათებს
იმდენად მალე დაიწვის!..
შენც სანთელი ხარ, პოეტო,
მასავით იწვის და დნება
ეგ შენი გულიც და ბნელი
გარშემო მყის იფანტება.
და შენც, რაც უფრო ცხარედა
ამ სიბნელესთან იბრძოლებ
და მეტ სინათლეს მიმოფენ,
იმდენათ დღეს შეიმოკლებ!
შენ განსხვავდები მხოლოდ მით,
რომ ის კაცისგან ინთება
და შენს გულში კი ღვთიური
ცეცხლი თვითონვე იგზნება.
და რაკი ერთხელ ის ცეცხლი
განგებით შენში გაჩნდება,
სანამ სრულიად არ დაგწვავს,
თვის ჭურჭელს, აღარ გაჰქრება!..

„კვალი“, 1894 წ. 2 ოქტომბერი (№ 41)

**გიორგი შარვაშიძე**

## აკაკის

**აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის შვილს, პოეტს, დრამატურგს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს გიორგი შარვაშიძეს (1846-1918 წ. წ.) ახლო მეგობრობა ჰქონდა აკაკი წერეთელთან, რომლის გარდაცვალებამ დიდად იმოქმედა მასზე. ჩვენ სასიქადულო მგოსანს მან უძღვნა ლექსი, რომელსაც გთავაზობთ.**

სულმნათო! არა, არ გეთხოვები,
შენისთანები არა კვდებიან,
სხეულით მხოლოდ შენ განისვენე,
ხოლო ზეციურ-უკვდავი ხმები
შენის ქნარისა ჩვენთან შთებიან!
და ეს ანდერძი აღმაფრთოვანი
შენის ერისგან დალოცვილია,
როგორც ფოლადში ოქროს ზარნიში
ქართველთა გულში ჩაჭედილია...
და თან ღაღადი, ქებათა ქება,
გუნდრუკად ცისკენ აღემართება,
ეს არს სიცოცხლე და უკვდავება...
კურთხეულია შენი ხსენება!

1915 წ.

# სალიეზთან



**სოფელი** მედანი ერთ-ერთი მთისპირა სოფელი გახლავთ წალენჯიხის რაიონში. აქ ცხოვრობს ივანე სალია, — საქართველოს ისტორიის მოჭირნახულის, საფრანგეთში მოღვაწე და იქ გარდაცვლილი კალისტრატე სალიას ძმა.

ივანე სალიას მამას ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყოლია. ყველაზე უფროსი, კალისტრატე 1901 წელს დაბადებულა. მას მიყვება გიორგი, შემდეგ ვალოდია და ამჟამად სოფელ მედანში მცხოვრები, 1913 წელს დაბადებული ივანე სალია. მათი ერთადერთი და ლენა 87 წლისაა.

ბატონ ივანეს გაუხარდა ჩვენი სტუმრობა. ბევრი რამ გაიხსენა, მაგრამ ბევრიც დავიწყების ბურუსს მიცემული.

ივანე პროფესიით პედაგოგია. წლების განმავლობაში სოფელში ასწავლიდა დაწყებით სკოლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას.

ივანეს მამა ზოსიმე, მეღვინე კაცი ყოფილა. მან ბევრი იღონა, რათა შვილებისთვის შესაფერისი სწავლა-განათლება მიეცა. კალისტრატე ხაშურის გიმნაზიაში მოაწყო. „უამრავ თავადიშვილებში, — გვითხრა ივანემ. — მხოლოდ ჩემი ძმა, კალისტრატე ყოფილა გლეხის შვილი“.

ბატონ ივანეს ახსოვს ძმა. კალისტრატე ხშირად სწერდა საფრანგეთიდან წერილებს დედას, ახლობლებს.

და რაც მეტად სახიამოვნოა, დგას ზოსიმე სალიას ნაფუძარზე აღდგენილი ოდა-სახლი. წალენჯიხის საზოგადოებრიობა იქ ვარაუდობს კალისტრატე სალიას სახელობის მუზეუმის საფუძველის ჩაყრას.

ბატონი ივანე მშვენიერი თამადაა, საკუთარ ეზოში მოწეული, საკუთარი ხელით დაწურული ადესის მშვენიერი ღვინით გაგვიმასპინძლდა.

**თამაზ ჟიჟავა**



# ოდიშის საერისთავო

**XII-XIV სს.**

**ოდიში** უხსოვარი დროიდან ერქვა ერთ ნაწილს იმ ქვეყნისას, რომელიც ძველ ბერძნულ-რომაულ სამყაროში კოლხეთისა და ლაზიკის, ხოლო ქართულ სინამდვილეში ეგრისის სახელითაა ცნობილი. ოდიშის მიწა-წყალი ჯერ კოლხეთის, შემდეგ ეგრისის (ლაზიკის) სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს შეადგენდა. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ერთიანი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების (X-XI სს. მიჯნა) შემდეგ ოდიში ცალკე საერისთავოს სახით, ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულია.

ოდიშის ერისთავები დადიანთა ძირძველ საგვარეულოს ეკუთვნოდნენ. ამ გვარის წარმომადგენელი მატიანეებში პირველად XI საუკუნეში იხსენიება. ესაა ივანე დადიანი, რომელიც მეფე ბაგრატ IV-მ სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად, აღნიშნული საუკუნის 40-იან წლებში შემოერთებული სომხეთის დედაქალაქის — ანისის მცველად დანიშნა. მემატიანე არაფერს ამბობს იმის შესახებ, იყო თუ არა ივანე დადიანი ოდიშის ერისთავი. ოდიშის საერისთავო და მისი ერისთავი დადიანთა საგვარეულოდან პირველად XII ს. 80-იან წლებში, თამარის მეფობის ხანაში იხსენიება. ამ დროიდან მოკიდებული წერილობითი წყაროები მეტნაკლები სისრულით გვაწვდიან ცნობებს ოდიშის საერისთავოს შესახებ.

დადიანთა საგვარეულოს წარმოშობის საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მათ შორის აღსანიშნავია ორი თვალსაზრისი. პირველის თანახმად, დადიანთა გვარი ვარდახსძეებისაგან მომდინარეობს, მეორის მიხედვით, ეს გვარი საღირისძეების განშტოება იყო. ასეა თუ ისე, XI ს. 40-იან წლებში დადიანთა გვარის არსებობა, ხოლო XII ს. 80-იან წლებში მათი ოდიშის ერისთავობა დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტებია.

ოდიშის საერისთავო, თავდაპირველად, მეგრელებით დასახლებული ტერიტორიის მხოლოდ ერთ ნაწილს მოიცავდა. საერისთავოს აღმოსავლეთი საზღვარი, ძირითადად, ტეხურის სანაპიროს მიუყვებოდა. ჩრდილო-დასავლეთით მას მძ. ღალიძგა საზღვრავდა, ჩრდილოეთით სამეგრელოს ქედი, დასავლეთით შავი ზღვა. აღმოსავლეთით მას სამოქალაქოს (გვიანდელი ქვემო იმერეთი), დასავლეთით ცხუმის საერისთავოები ესაზღვრებოდნენ. დადიანთა ერთი შტო, რომელსაც სათავე დაუდო თამარ მეფის თანამედროვე ბედანმა, ოდიშის ერისთავობას ფლობდა, ხოლო მეორე შტო, რომლის ფუძემდებლად ბედანის ძმა ვარდანი გვევლინება, სამოქალაქოს ერისთავისა და დასავლეთ საქართველოს მეფისნაცვლის („მეფეთა ადგილზე მჯდომი") ხელისუფლებას. ბედანის პირდაპირი შთამომძავლები იყვნენ ოდიშის ერისთავები და მთავრები XVII ს. ბოლომდე ე. ი. მანამ, სანამ დადიანის გვარსაც და ხელისუფლებასაც ჩიქოვანთა გვარის წარმომადგენელი არ დაიმკვიდრებდა.

რაც შეეხება მეორე შტოს, რომლის ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელია გმირი ცოტნე, XIVს. პირველი ნახევრიდან ქრება ისტორიის სარბიელიდან, ხოლო მათი საერისთავოს (სამოქალაქოს) ერთი ნაწილი, რომელიც მოქცეული იყო მდინარეების — ტეხურასა და ცხენისწყალს შორის, ოდიშის ერისთავების გამგებლობაში გადავიდა.

ოდიშის საერისთავო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბედან I დადიანი თავისი საერისთავოს ლაშქრით თაუდადებთან იბრძოდა ყველა იმ ომში, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფოს საგარეო მტრების წინააღმდეგ და რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება წარმართავდა. მაგრამ, როგორც ეს ფეოდალური საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი, სხვადასხვა მიზეზის გამო, სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლაც არ იყო უჩვეულო ფაქტი. ოდიშის საერისთავო, დასავლეთ საქართველოს სხვა საერისთავოებთან ერთად, ჩაბმული აღმოჩნდა იმ შინაპოლიტიკურ კრიზისში, რაც გამოიხატა ქართველ დიდებულთა აჯანყებაში (1188 წ.) თამარ მეფის წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში ედგა ოდიშის ერისთავის ძმა, ლიხთ-იმერეთში მეფისნაცვალი და სამეფო კარზე მსახურთუხუცესი — ვარდან დადიანი. აჯანყებულები დამარცხდნენ, მაგრამ ამას, როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, ბედან დადიანის დამცრობა მეფის ხელისუფლების მხრით არ მოჰყოლია, რადგან ის თამარ მეფის მემკვიდრის, ლაშა გიორგის გვერდით თავისი საერისთავოს ლაშქრით ენერგიულად იბრძვის საქართველოს ყმადნაფიცობისაგან განმდგარი განჯის ათაბაგის წინააღმდეგ, ხოლო მოგვიანებით, მონღოლთა შემოსევების ხანაში, ერთგულად მსახურებს მეფე რუსუდანს, მონაწილეობს კოტასთავის ცნობილ შეთქმულებაში თავის ბიძაშვილთან, ცოტნესთან ერთად.

ბედან I-ის შემდეგ ოდიშის ერისთავად ჩანს ჯუანშერი, რომლის შესახებ წერილობით წყაროებში თითქმის არაფერია ნათქვამი.

ჯუანშერს ერისთავის ტახტზე ცვლის მისი მემკვიდრე ბედან II. მემატიანის სიტყვებით, მან „დაიწყო ოდიში, რომელ მპარავი და ძვირის-მოქმედი არა იპოვებოდა" მის საერისთავოში: წყაროების მიხედვით, ბედან II დადიანი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბების ცენტრში ჩანს. მხედველობაში გვაქვს XIII ს. 60-იან წლებში შექმნილი, საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი, ვითარება. მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებულმა აღმოსავლეთ საქართველოს მეფემ თავი შეაფარა დასავლეთ საქართველოს მეფესთან — დავით რუსუდანის ძესთან. დიდებულთა ერთმა ნაწილმა, ლიხთ-იმერეთში დავით ლაშას ძის გამეფება და დავით რუსუდანის ძის ტახტიდან გადაყენება გადასწყვიტა. ბედან II დადიანი, სხვა ერისთავებთან ერთად, „დადგა ერთგულებასა ზედა რუსუდანის ძისასა", რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ამ უკანასკნელის განმტკიცება დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე.

ბედან II და მისი მეუღლე ხვაშაქი, ქართლის ერისთავის ბეგა სურამელის ასული, შვილებთან ერთად მრავალგზის იხსენიებიან ხობის, მარტვილისა და წალენჯიხის ხატების წარწერებში.

XIII ს. ბოლოს, ბედან II-ის გარდაცვალების შემდეგ, ოდიშის ერისთავი გახდა მისი მემკვიდრე გიორგი I. ამ დროისათვის, მეფის, დავით რუსუდანის ძის გარდაცვალების (1293 წ.) შემდეგ ლიხთ-იმერეთში შინაპოლიტიკური ვითარება უაღრესად გართულდა, რაც გამოიწვია დავით მეფის მემკვიდრეებს შორის ტახტისათვის ამტყდარმა ბრძოლამ. მემატიანე აღნიშნავს, რომ „იხილა დადიანმან გიორგი ესე ვითარება მათ შორის მიიტაცა საერისთავო ცხომისაცა და დაიპყრა თვით სრულიად ოდიში ანაკოფიამდე". როგორც ვხედავთ, გიორგი II დადიანი საგრძნობლად აფართოებს თავის სამფლობელოს საზღვრებს და იერთებს მეზობელი ცხუმის საერისთავოს. აქედან იწყება ოდიშის ერისთავების ხანგრძლივი ბრძოლა ცხუმის საერისთავოს დაუფლებისათვის, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და საბოლოოდ, XV ს. მეორე ნახევარში, დადიანების გამარჯვებით დამთავრდა.

გიორგი I-ის ერისთავობის პერიოდში საფუძველი ეყრება ოდიშის ურთიერთობას დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ამ დროისათვის შავ ზღვის სანაპიროზე გენუელები იწყებენ სავაჭრო კოლონიების დაარსებას. 1318 წ. გიორგი I-ის ხელშეწყობით ცხუმში დაფუძნდა პირველი კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა. მანვე აღაშენა ხობის სახელგანთქმული ტაძარი. აქვე გამოსახულია მისი ფრესკა ფრიად შინაარსიანი წარწერით. გიორგი I გარდაიცვალა 1323 წ. და ოდიშის ერისთავი გახდა მისი მემკვიდრე მამია I დადიანი.

ლიხთ-იმერეთის მეფის — მიქელის გარდაცვალების (1329 წ.) შემდეგ გიორგი V ბრწყინვალეს (1318-1346 წწ.) ხელსაყრელი მომენტი დაუდგა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის. ამ მიზნით გიორგი V შეუდგა მოკავშირეების ძებნას ლიხთ-იმერეთის დიდებულთა წრეში. მას მხარი დაუჭირეს ერისთავების უმეტესობამ, მათ შორის , მამია დადიანმა, ქვეყნის გაერთიანების საქმეში გამოჩენილი ერთგულებისათვის გიორგი V-მ მამია I დადიანს საქართველოს ამირსპასალარობა (მხედართმთავრობა) უბოძა. მამია I-ისა და მისი მემკვიდრის გიორგი II-ის ერისთავობის პერიოდის ოდიშის შესახებ უაღრესად მცირე ცნობები მოგვეპოვება. როგორც ჩანს, XIV ს. მეორე ნახევარში, დადიანებს ცხუმის საერისთავო დაუკარგავთ.

XIV ს. ბოლო საქართველოს ისტორიაში რთული პოლიტიკური მოვლენებით აღინიშნა. აღმოსავლეთ საქართველოს თავს დაატყდა თემურ-ლენგის ურდოების გამანადგურებელი შემოსევები. ამ დროისათვის, 1384 წ. გარდაიცვალა ოდიშის ერისთავი გიორგი II დადიანი და საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის დასტურით ერისთავი გახდა გარდაცვლილი გიორგის მემკვიდრე ვამეყ დადიანი, რომელმაც მოგვიანებით საქართველოს მანდატურთუხუცესის თანამდებობაც მიიღო.

თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად შექმნილი მძიმე ვითარებით ისარგებლეს, სახელმწიფოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მკვიდრმა, ჯიქებმა და ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებაზე უარი განაცხადეს. ჯიქების ერთი ნაწილი, ამ დროისათვის მოსახლეობდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში შემავალ ტერიტორიაზე, გაგრის სანახებიდან ნიკოფსიამდე. ისეთ დროს, როდესაც უაღრესად გართულებული იყო ქვეყნის საგარეო ვითარება, ჯიქების განდგომა ფრიად ავისმომასწავებელი სიმპტომი იყო. მეფის ხელისუფლება, რომელიც თემურ-ლენგის მარბეველი ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში იყო ჩაბმული ჯიქეთში მდგომარეობის მოსაწესრიგებლად ვეღარ იცლიდა. საჭირო იყო გადამწყვეტი მოქმედება და ეს თავს იღო ოდიშის ერისთავმა—ვამეყ დადიანმა. ის საერისთავოს ლაშქრით დაუყოვნებლივ გაემართა ჯიქეთში. ზედიზედ აიღო ციხე-სიმაგრეები. მათ შორის გაგრის ციხე, სადაც გამაგრებულნი იყვნენ აჯანყებული ჯიქები. მათი ერთი ნაწილი ბრძოლით დაიმორჩილა. ვინც მის წინაშე მორჩილებით გამოცხადდნენ, მათგან მძევლები დაიტოვა, ხოლო ვინც წინააღმდეგობას არ წყვეტდა, იარაღის ძალით დაიმორჩილა. ვამეყ დადიანის ამ ღონისძიებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ უკიდურესად მძიმე საგარეო ვითარების დროს, ქვეყნის შიგნით წარმოქმნილი სეპარატიზმის საშიში კერა ლიკვიდირებულ იქნა.

დასავლეთ საქართველოში მალე თავი იჩინა ფეოდალური შინაშლილობის ფაქტებმაც. სამეფო დინასტიის გვერდითი შტოს წარმომადგენელმა ალექსანდრემ ისარგებლა რა თემურ-ლენგთან ბრძოლაში ჩაბმული ბაგრატ მეფის მძიმე მდგომარეობით, დასავლეთ საქართველოში გამეფება სცადა, ეკურთხა კიდეც იმერთა მეფედ და თავისი მოშხრეებითურთ ცენტრალური ხელისუფლების გარნიზონებს დაუწყო ბრძოლა. მაგრამ ალექსანდრეს მეფობა უდღეური აღმოჩნდა იმის წყალობით, რომ მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ოდიშის, გურიისა და აფხაზეთის ერისთავებმა. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, 1387 წ. იმერთა მეფედ ეკურთხა მისი მემკვიდრე გიორგი. ეს უკანასკნელიც ზემოაღნიშნული ერისთავების მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდა. უზურპატორი გიორგის წინააღმდეგ ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისა და ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისათვის მებრძოლ ძალებს დასავლეთ საქართველოში სათავეში ჩაუდგა ვამეყ დადიანი. გიორგი მეფემ გადაწყვიტა, პირველ ყოვლისა, ვამეყ დადიანის წინააღმდეგობის გატეხა „რამეთუ უკეთუ სძლოს და დაიმორჩილოს იგი, სხუანიცა ყოველნი დაიპყრას" — აღნიშნავს ვახუშტი. ბაგრატიონი. ამ მიზნით გიორგი მეფემ 1392 წ. შეკყარა თავისი მომხრეები და საომრად ოდიშისკენ გამოემართა. ვამეყ დადიანმა აფხაზთა ერისთავიც მიიმხრო და ორივე, საერისთავოს ლაშქრით, ჩაება ბრძოლაში გიორგი მეფის ჯართან. ბრძოლაში ვამეყ დადიანმა გიორგი მეფის მომხრეები დაამარცხა, თვით მეფეც ერთ-ერთ შეტაკებაში მოკლეს.

1396 წ. გარდაიცვალა ვამეყ დადიანი და ოდიშის ერისთავი გახდა მისი მემკვიდრე მამია. ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალებს, ვამეყ დადიანის გარდაცვალებით, თავიანთი მიზნების ასრულებისათვის ხელსაყრელი მომენტი დაუდგათ და დასავლეთ საქართველოში კვლავ განცალკევებული სამეფოს შექმნა მოინდომეს. ვამეყ დადიანის გარდაცვალებისთანავე „შთამოიყვანეს იმერთა კონსტანტინეს ძე ბაგრატი და ყვეს მეფედ" — წერს ვახუშტი ბაგრატიონი. ოდიშის ერისთავმა მიმართა მეფე გიორგი VII-ს, აღუთქვა ერთგულება და მხარდაჭერა კონსტანტინეს წინააღმდეგ ბრძოლაში. თემურ-ლენგის შემოსევების შეწყვეტის შემდეგ ცენტრალურ ხელისუფლებას მიეცა შესაძლებლობა, რომ ეზრუნა დასავლეთ საქართველოს შექმნილი მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. გიორგი VII სამეფოს ლაშქრით გადმოვიდა დასავლეთ საქართველოში. მას ეახლა მამია დადიანი ოდიშის საერისთავოს ლაშქრით, შეიპყრეს ტახტის მიმტაცებელი კონსტანტინე და ტყვედ მიჰგვარეს გიორგი მეფეს. გამოჩენილი ერთგულებისათვის მეფემ მამია დადიანს უბოძა ცხუმის საერისთავოც. ამით ოდიშის საერისთავოს ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა და უშუალოდ გაუმეზობლდა აფხაზთა ერისთავების საგამგებლო ტერიტორიას. ცხუმის საერისთავოს შემოერთების შემდეგ მამია დადიანი აფხაზთა საერისთავოს დაქვემდებარებას ცდილობდა, მაგრამ ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა და ამას შეეწირა თვითონ მამია დადიანიც. 1414 წ. აფხაზთა მთავართან ერთ-ერთ შეტაკებაში მამია დადიანი მოკლეს.

როგორც ვხედავთ, XIV ს. ბოლოსა და XV ს. დასაწყისში ოდიშის საერისთავო, ქვეყნის ძლიერმედობის ჟამს, თავგამოდებით იბრძვის ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებული სეპარატისტული ძალების ასალაგმავად, რაც ობიექტურად ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ მთლიანობასა და საზღვრების ხელშეუხებლობას განამტკიცებდა.

**გონელი არახამია**

**ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საგამოფენო დარბაზებსა და ფონდებში საკმაო რაოდენობითაა დაცული რუსი და ევროპელი მხატვრების ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები.**

**რუსი მხატვრების ფერწერული ტილოებიდან უნდა დავასახელოთ თევდორე ბუროვის (1846-1895 წ. წ.) დიდი ოსტატობით შესრულებული „გრიგოლ დადიანის პორტრეტი". იგი მუზეუმში არსებულ პორტრეტებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. ნაწარმოებში შესანიშნავად არის გადმოცემული დავით დადიანის ძმის გრიგოლის (მწერლობაში „კოლხიდელის") სულიერი სახე.**

**გრაფ ალექსანდრე ადლერბერგის ასულის მარიამის პორტრეტს ხელს აწერს მხატვარი ტიურინი.**

**გრაფ ადლერბერგის ასული მარიამი ცოლად ჰყავდა ეკატერინე ჭავჭავაძის უფროს ვაჟს, სამეგრელოს ტახტის მემკვიდრეს ნიკო დადიანს (მინგრელსკის).**

**ფონდებში ნახავთ ცნობილი რუსი პორტრეტისტის, მოძრავ მხატვრულ გამოფენათა ამხანაგობის — „პერედვიჟნიკების" — წევრის ალექსი სარლამოვის (1842-1922 წ. წ.) მიერ 1874 წელს შესრულებულ „ალექსანდრე II-ის პორტრეტს". იგი არ გამოირჩევა მხატვრული დიდოსტატობით. ა. სარლამოვის საუკეთესო ნამუშევარი იყო „ტურგენევის პორტრეტი", რომელიც 1887 წელს შეიძინა ერმიტაჟმა.**

**აქვეა ცნობილი მხატვარ-ანიმალისტის ნიკოლოზ სვერჩკოვის (1817-1898 წ. წ.) დიდი ტილო „ალექსანდრე II-ის მოგზაურობა გრაფ ადლერბერგთან ერთად".**

**ზემოთადნიშნულ სურათზე მხატვარს ჩვეული ოსტატობით აქვს გამოსახული კარეტაში შებმული ცხენები, რომლებიც ხოფლის პეიზაჟის ფონზე მიაჭროლებენ იმპერატორს თავის კარის მინისტრთან ერთად. სურათი დაწერილია მუქ ნაცრისფერ ტონებში;**

**მუზეუმში დაცულია „ქალის პორტრეტი", რომელიც პეტრე რიეიკოვს (1858-1910 წ. წ.) ეკუთვნის.**

**რუსი მხატვრების გრაფიკული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია „გრიბოედოვის პორტრეტი". მისი ავტორია ცნობილი მხატვარი— ბატალისტი ვლადიმერ მაშკოვი (1792-1839 წ. წ.). პორტრეტი ფანქრითია და აქვარელითაა შესრულებული. ამ სურათის ავტორი 1930 წელს დაადგინა ენიკოლოფოვმა („ბჭოთა ხელოვნება" 1930 წ. № 10). სურათი არ არის დათარიღებული. მაგრამ იგი შესრულებული უნდა იყოს თბილისში 1826-28 წლებში, როდესაც მაშკოვი აქ იმყოფებოდა და ხშირად ხვდებოდა გრიბოედოვს.**

**მუზეუმში საკმაოდ აღმოჩნდა ცნობილი მხატვრისა და ლითოგრაფის ვასილ თედორეს ძე ტიმის (1820-1895 წ. წ.) მიერ აქვარელით, ფანქრით და გუაშის მათეთრათი შესრულებული გრაფიკული ნამუშევრები: ყველა სურათს აქვს ავტორის ხელწერა და 1851 წლითაა დათარიღებული. როგორც ცნობილია, ვ. ტიმი 1851 წ. მთელი წლის მანძილზე ცხოვრობდა საქართველოში.**

**ევროპელი მხატვრების ფერწერული ნამუშევრებიდან ყურადღებას იპყრობს სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის პორტრეტი. მისი ავტორია ცნობილი გერმანელი ფერმწერი ფრანც ქსავერი ვინტერჰალტერი (1805-1873 წ. წ.). იგი თავის დროის სახელმოხვეჭილი პორტრეტისტი იყო. განსაკუთრებით კი ქალთა პორტრეტები ემარჯვებოდა, რომლებშიაც დიდი სიკეკლუცეე და გრაცია შექონდა.**

**ეკატერინე ჭავჭავაძის პორტრეტი ხაზღვარგარეთაა შესრულებული 1857 წელს, როდესაც გაუქმდა სამეგრელოს სამთავრო, იმპერატორის ბრძანებით ეკატერინე ჭავჭავაძეს წინადადება მიეცა დაეტოვებინა სამეგრელო და გადასულიყო პეტერბურგში, ვითომდა შვილების აღსაზრდელად. იგი გადადის პეტერბურგში, შემდეგ კი საფრანგეთში მიემგზავრება. ხეორად პარიზშია შექმნილი მისი პორტრეტი ფრანც ქსავერი ვინტერჰალტერის მიერ. ეკატერინემ თავისი პორტრეტი საფრანგეთიდან გამოუგზავნა ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს დიმიტრი უიფიანს (ეკატერინემ რუსეთში გადასვლისას თავისი ქონებისა და მამულების მზრუნველობა დიმიტრი უიფიანს ჩააბარა).**

**მუზეუმის არქივში დაცულ დიმიტრი უიფიანის ბარათში ნათქვამია: „უძვირფასესო და უსასიქადულესო დედოფალო! ამ დილას ერთი დიდი შეხვეული ქაღალდი შემომტანეს, გავშალე, ვნახე თქვენი პორტრეტი; გარწმუნებთ, რომ ჩემთვის უკეთეს ჯილდოს ვერ მოიგონებდით. შეხედვა ამ პორტრეტისა და გულიდან გადაყრა ყოვლის ჯავრისა და ჭმუნვის ერთი იქნება და, რასაკვირველია, თვალიდან არ მოვიცილებ.**



# მდიდარი კოლექცია

როგორც მე ამ თქვენს პორტრეტს ვუყურებ, არა მგონია ვინტერჰალტერი სტუუოდეს და ბარაქალა იმის ოსტატობას.

თქვენი უერთგულესი დიმიტრი ყიფიანი".

ბარათი 1865 წლის 22 იანვრის რიცხვითაა დათარიღებული. სამეგრელოს გვირგვინოსანი დედოფალი სურათში ხაზეიმო ილუმინაციითაა გასხივოსნებული, იგი დაწერილია ცოცხალი, ნათელი ფერებით.

გერმანელი მხატვრის ფ. ფრიშის შესახებ ცნობები თითქმის არ მოიპოვება. დადგენდა რომ ფერმწერი და ლითოგრაფი ფრიდრიხ ფრიში (1813-1886 წ. წ.) სწავლობდა მიუნხენში ა. ადამთან. მუშაობდა კარის მხატვრად დარმშტატში. 1843 წელს გამოაქვეყნა ლითოგრაფიების ალბომი — „აღმოსავლური ჩანახატები". მისი ნამუშევრები ინახება დარმშტატის მუზეუმში, კერძო შეკრებულობებში.

ზუგდიდის მუზეუმში დაცულია ფრიშის 5 დიდი ზომის ტილო. იგი ასახავს ალექსანდრე II-ის მოგზაურობას კავკასიაში, აქ არის „ხაქართველოს სამხედრო გზა", „შავი ზღვის სანაპირო", „ალექსანდრე მეფის შემოსვლა თბილისში" და სხვა.

როგორც ჩანს, მხატვარი თან ახლდა ალექსანდრე II-ეს მოგზაურობის დროს. ცალკე ალბომში აღმოჩნდა ფრიშის გრაფიკული ჩანახატები. ეს არის ესკიზები იმ დიდი ტილოებისათვის, რომელიც შემდგომ დასრულა მხატვარმა. ესკიზებსა და ტილოებს შორის კომპოზიციურად მეტად მცირე სხვაობაა.

ზუგდიდის მუზეუმში ჯერ კიდევ 1961 წელს აღმოვაჩინე ფრ. ფრიშის თანამემამულის, ცნობილი მხატვრის ფრანც კრიუგერის (1797-1857 წ. წ.) შვიდი გრაფიკული პორტრეტი. ამის შესახებ ვრცელი სტატია და ფოტოპირები გადავუგზავნე ბერლინის ეროვნულ გალერეას, რის გამოც დოქტორმა რიუტენბერგმა დიდი მადლობა გვიძღვნა. გაგზავნილი მასალები კი გამოფენილ იქნა ბერლინის ეროვნულ გალერეაში... ფრ. კრიუგერის შვიდივე პორტრეტი შესრულებულია ღია ნაცრისფერ ქაღალდზე აქვარელით, ცარცითა და გუაშის მათეთრათი. ყველას აქვს მხატვრის ხელწერა და შესრულებულია 1851 წელს.

უცქერით რა კრიუგერის ამ ნახატებს, რწმუნდებით მისი თანამედროვის სიტყვებში: „მან შექმნა განსაკუთრებული მანერა. ის ღია ნაცრისფერ ქაღალდზე დაუჯერებელი სისწრაფით გადმოსცემდა პირთა ხასიათებს. ტანსაცმლის ნაირ-ნაირობას". („Художественная газета" 1836. № 11-12).

ფაქიზი გემოვნებითა და დახვეწილი ტექნიკური მანერით გამოირჩევა ფრანგი მხატვრის ემილ ფრანსუა დესენის (1808-1882 წ. წ.) პასტელით შესრულებული პორტრეტები: „ლევან V დადიანი", „დავით დადიანი", „ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა". „მარიამ ზურაბის ასული წერეთელი" (ლევან V მეუღლე), „პუპი ლევან დადიანის ასული" და სხვა. სურათები დათარიღებულია 1851 წლით. ზოგ მათგანს აწერია თბილისი. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია დესენის 13 პორტრეტი. მათზეც თბილისია აღნიშნული და უმრავლესობა დათარიღებულია 1851 წლით, ზოგიერთი კი — 1850 წლით. როგორც ჩანს, ავტორი 1850-51 წლებში საქართველოში ყოფილა.

დესენი პასტელის დიდოსტატია, ეს ნათლად ჩანს მის პორტრეტებზე (ნინო ჭავჭავაძის, პუპი დადიანის, დავით დადიანის პორტრეტები).

მეტად ჰაეროვანია ნინო ჭავჭავაძის პორტრეტი. იგი ფაქიზი და საოცრად მიმზიდველია.

მხატვარს ნაწარმოებში ჩაუქსოვია ის ხინაზე, ქალური სიტურფე და მომხიბვლელობა, რომელიც ახასიათებდა ნინოს, მისი თანამედროვენი ამტკიცებდნენ, რომ ნინო თავის დროის ულამაზესი ქალი იყო.

ზუგდიდის მუზეუმისათვის ყველაზე დიდი შენაძენია ფრანგი მხატვარ-გრაფიკოსისა და ჟურნალისტის პიერ ბლანშარის მრავალრიცხოვანი ნამუშევრები.

ბლანშარი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან, ქართველ ხალხთან. იგი საქართველოს ესტუმრა 1857 წელს, ბლანშარმა იმოგზაურა კახეთში, იყო ლაგოდეხსა და თელავში, ასევე თბილისში. მოგზაურობისას ოსტატურად იყენებდა ფუნჯსა და კალამს.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია ბლანშარის მხოლოდ ორი ნამუშევარი, და აი, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა პიერ ბლანშარის მეტად საუცხოო გრაფიკული ნამუშევრები საქართველოსა და კავკასიის თემებზე.

სურათები საშუალო ზომისაა. ყველაზე მცირე 20X25 სმ-ია, ყველაზე დიდი — 37X53. ისინი შესრულებულია ნაცრისფერ ქაღალდზე აქვარელით. მხატვარს ქაღალდზე აღუბეჭდია საქართველოს სამხედრო გზის მშვენება, დარიალის ხეობიდან მოყოლებული თბილისამდე. ნახატებიდან ირკვევა, რომ მხატვარი ყოფილა დარუბანდში, შემახიაში, დერბენდში, ბაქოში და სხვ. ყველა სურათს აქვს ავტორის ხელწერა, ზოგიერთი დათარიღებულია კიდეც.

მომაჯადოებელი და თვალწარმტაცია საქართველოს სამხედრო გზის ჩანახატები.

კავკასიის მთებს, დარიალის ხეობას, საქართველოს მთასა და ბარს აღფრთოვანებაში მოუყვანია ფრანგი მხატვარი.

რას არ ნახავთ აქ: დარიალის ვიწრო ხეობა, სურათი ვერტიკალურად მთლიანად დაუფარავს ცად აზიდულ მთის კალთებს, მარჯვნივ შმაგი თერგი მოედინება. აი, მეორე ხედი ამავე ხეობისა: მხატვარს აღუბეჭდავს ზვავის ჩამოწოლის მომენტი — გრიალით მოქრიან გზის პირას მთიდან ჩამოცვენილი ქვები. მარჯვნივ კარეტა და მხედრებია. ისინი ელოდებიან ბუნების სტიქიის დაწყნარებას.

ჩვენ თვალწინაა ლანდშაფტური პეიზაჟი. ფერდობებს შუა მოჩანს შარაგზა დაკლაკნილი მდინარეებით. ირგვლივ დასახლებაა, ესაა სოფლები: კობი, ხიონი. სურათის უკანა პლანზე მარცხნივ ცად აზიდულა ჯადოსნური თოვლით დაფარული მყინვარწვერი.

საუცხოოა ყაზბეგის ხედი. „ანანური" — ასე ეწოდება ბლანშარის ერთ-ერთ სურათს. ეს ცნობილი ანანურის ეკლესია და ციხე-სიმაგრეა. მცხეთაში ბლანშარს დაუხატავს სვეტიცხოველის ტაძარი.

თბილისში მხატვრის ყურადღებას იპყრობს ხალხების ინტერიერები, უბნები, ქუჩები, ტიპაჟები, ჩაცმულობა. „ეს უაღრესად ლამაზი ქალაქია", — წერდა თბილისის შესახებ.

ბლანშარი აქვარელის ბრწყინვალე ოსტატია; მისი ნამუშევრები მეტად ფაქიზია, ლირიული, დახვეწილი. მხატვარი მართლად გადმოგვცემს ყველაფერ დანახულს. ეს ნამუშევრები ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც მეტად საყურადღებოა.

პიერ ბლანშარის ოცზე მეტი ნამუშევარი არა მარტო ზუგდიდის მუზეუმის სიამაყეა, იგი მთელი ქართველი ხალხის სიმდიდრეა, მათში ამღერებული და აყვავებულია საქართველოსა და კავკასიის ბუნების სილამაზე.

გარდა ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებისა, ზუგდიდის მუზეუმში დაცულია გრავიურებისა და ლითოგრაფიების საკმაოდ დიდი კოლექცია.

აქ ინახება რაფაელ სანტის სამი გრავიურა: „სიქსტეს მადონა" (გრავიორი იგნაციო პოვონი), „მადონა სავარძელში" (გრავიორი სამუელ ჯესი) და „ღვთისმშობლის დაწინდვა" (გრავიორი მ. ბრანდმიულერი), გვიდო რენის „მადონა ტახტზე და წმინდანები" (გრავიორი ხ. შულერი), ტიციანის „კეისრის დინარი" (გრავიორი ფრ. ჰანფშტენგლი), ლეონარდო და ვინჩის „ხაიდუმლო ხერობა" (გრავიორი იგნაციო პოვონი), ანტონიო კორეჯის „წმინდა ღამე" (გრავიორი ანტონიო ცეკინო), ბარბიერის (გვერჩინოდ წოდებული) „აგარის განდევნა" (გრავიორი სამუელ ჯესი) და სხვა.

ფერადი ლითოგრაფიებიდან აღსანიშნავია ლასალის „ნაპოლეონ ბონაპარტის პორტრეტი" (მხატვარ დელაროშის მიხედვით).

მუზეუმში ინახება ფოტოგრავიურებიც, როგორიცაა კრატკეს „ნაპოლეონი წმინდა ელენეს კუნძულზე", ა. გოუს „ვატერლოოს შემდეგ" („ვისაც შეგიძლიათ თავს უშველეთ"), ვილიამ ოჩარდსონის „ნაპოლეონი გემ „ბელეროფონის" ბაკანზე".

აქ ცოტა როდია უცნობი მხატვრების ნამუშევრები. მათ შორის უნდა დავასახელოთ ტილოები: „პეტრე I", „ეკატერინე II". „ანდრია დადიანი", „ნიკო დადიანი" და სხვა. უცნობია ავტორი სურათისა, რომელიც ასახავს იაზონის მიერ ოქროს ვერძის მოტაცებას: საკმაოდაა პეიზაჟები, ნადირობის სცენები და სხვ.

სამეგრელოს მთავართა და მათი ოჯახის წევრების პორტრეტები მზადდებოდა დაკვეთით იმ დროისათვის ცნობილი მხატვრებისა და კარის მხატვრების მიერ. ზემოთ აღნიშნული ფრიშის, ხვერჩკოვის, ტიმის, ბლანშარის, კრიუგერისა და სხვა მხატვრების ნამუშევრები, რომლებიც ასახავენ ალექსანდრე II მოგზაურობას კავკასიაში, როგორც ჩანს, პეტერბურგიდან უნდა ჩამოეტანა დავით დადიანის უფროს ვაუს ნიკო დადიანს (მინგრელსკის) მას შემდეგ, რაც მან უარი ათქმევინეს სამეგრელოს სამთავრო ტახტზე.

რაც შეეხება გრავიურების მდიდარ კოლექციას, იგი საფრანგეთიდან ჩამოიტანა ნაპოლეონ ბონაპარტეს სიძის, მარშალ იოახიმ მიურატის შვილიშვილმა, პრინც აშილ (ახილ) მიურატმა.

**სულიკო ნუცუბიძე**

---

სურათებზე:

- ზუგდიდის მუზეუმი.
- უცნობი მხატვარი. „ეკატერინე მაჭმაჭაძის სალონი ცარსკოე სელოში".
- ჯ. მაკოვსკი. „ბოგონას პორტრეტი". 1885 წ.
- დესენი. პორტრეტი — „ნინო მაჭმაჭაძე-გრიბოედოვისა".

# ნიკო დადიანი

„ის, თუმც არაოფიციალურად, იყო ნამდვილი წარმომადგენელი თავის ხალხისა. იგი ბევრს კითხულობდა, გულდასმით უკვირდებოდა თავის სამშობლოს და დიდი ცოდნის პატრონიც იყო მის შესახებ. თუ სათანადო შემთხვევა ხელთ ეძლეოდა, მან იცოდა სამშობლო ქვეყნის ინტერესების დაცვა“. — წერდა თუმანიშვილი.

მეტადრე საყურადღებოა გ. თუმანიშვილის ინფორმაცია, რომ ნიკოლოზ დადიანის ჩარევამ შეაჩერა სახელმწიფო მთავრობის რუსიფიკატორული განზრახვა — სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა და მის მაგიერ თვალთმაქცურად მეგრულის შემოღებისათვის.

საინტერესოა თვით ნიკო დადიანის აზრი ქართულ-მეგრულის დამოკიდებულების შესახებ:

„...მე წავიკითხე ის სტატიები, რომელნიც ამტკიცებენ რომ მეგრული ენის შუა და ქართველთ ენის შუა სიმზგავსეც არ არისო... მე ვერაფერი გამაკვირვებს!... მე ოღონდ ამას ვიტყვი, რომ ის გარეშე ქვეყნის ფილოლოგები, რომელნიც სწერენ მეგრულს და ქართულ ენებზედ, არიან სრულიად დაბნეულნი. ჯერე ჩვენი ენა ისწავლონ და მერმე სწერონ. ნამეტანი სწავლა ზოგიერთებს მთლად დაებნევს!... ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ხალხს აქვს საკუთარი აზრი და რწმუნება, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა საკუთარმა ისტორიამ და ახლა ვერა კაცი ვერ დაგვაჯერებს იმას, რაც ნამდვილი არ არის ჩვენთვის და რაცა ვნებს ჩვენ წინ წაწევას. ხალხს მაშვინ გაიცნობს კაცი, როდესაც იმ ხალხში ცხოვრობს ან იმ ხალხის ენას ლაპარაკობს. ამას გარდა ხალხის ისტორია და სურვილი უნდა შეიტყოს კაცმა და შემდეგ ილაპარაკოს. მე მენგრელიას, იმერეთს და გურიას უყურებ როგორც საქართველოს პროვინციებს. ჩვენ შუა განსხვავება არ არის ან არც უნდა იყოს; ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრით მოვკვდები...“ („ივერია“, 1904 წ. № 241).

# საჩუქარი

**როგორც** ცნობილია სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა ნიკო დადიანმა 1885 წელს თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა უსასყიდლოდ გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ამის თაობაზე მისი წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ ამავე წლის 19 მარტს:

„აი, ის წერილი, რომლის ძალითაც თავადმა მეგრელიისამ შესწირა თავისი ბიბლიოთეკა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ — (წერილი მიმართულია თ-დი ვას. მაჩაბლისადმი“).

„ძნიაზო ვასილ!

„დიდი ხანია გულში მიძევს, რომ მთელი ჩემი ბიბლიოთეკა, რომელიც შეეხება საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ლიტერატურას ანუ საზოგადოდ რაიმე მხარეს ჩვენს სამშობლოსას, გარდამეცა ჩვენის „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისადმი“, რომელსაც, რასაკვირველია, უფრო მომეტებული სახსარი და ღონისძიება აქვს ამით სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყანას. ვიდრე ჯერძო პირმა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო დღემდის ეს სურვილი შეუსრულებელი დამრჩა. ახლა გთხოვთ ჩემს მაგიერ გარდასცეთ მმართველობას ზემოხსენებულის საზოგადოებისას, რომ მე მოვახდინე განკარგულება მთელი ჩემი ბიბლიოთეკა — თავადმა კონსტანტინე დავითის-ძე ნიკარაძემ ჩაიტანოს ქ. თბილისში „დროების“ რედაქტორთან, სადაც საზოგადოებისგან ამორჩეულ პირთ შეუძლიანთ ჩაიბარონ ისეთი წიგნები, რომელთაც ისინი დაინახავენ საჭიროდ და სასარგებლოდ.

თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით საზოგადოება მოუტანს რასმე სარგებლობას ჩვენს სამშობლო ქვეყანას, მით შევრაცხ ჩემს თავს ბედნიერად“.

**თქვენი პატივისმცემელი თავადი მეგრელიისა**

28 თებერვალი. 1885 წ. პეტერბურგი

„ამ ფრიად საამბო ამბავს ის უნდა დავუმატოთ. რომ ჩვენ ვნახეთ კატალოგი ამ ბიბლიოთეკისა, — წერს გაზეთი „დროება“, — რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად მეგრელიის თავადის მინდობილობით შეუდგენია თ. აკაკი წერეთელს“.

„დროება“, 1885 წ., 19 მარტი, № 60.

23 აპრილს ამავე გაზეთში ნიკოლოზ დადიანის ბიბლიოთეკის შესახებ წერილი გამოაქვეყნა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ სათაურით: „ბიბლიოთეკა თ. ნიკოლოზ სამეგრელოისა“. წერილში ნათქვამია:

„დროების“ მკითხველებმა იციან, რომ თავადმა ნიკოლოზ სამეგრელოისამ შემოსწირა ქართული ბიბლიოთეკა ჩვენს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“. ამ ბიბლიოთეკაზე ჩვენ ბევრი რამ გვქონდა გაგონილი. თვით განსვენებულს ბროსეს (მარი ბროსე, — ს. ნ.) თავის აქ ყოფნაში 1848 წ. გაეხინჯა იგი და ზოგიერთი ღირსშესანიშნავი იმისი მანუსკრიპტები კიდეც გაერკვია. ამისთვის მოუთმენლად მოველოდით ამ განძის ჩამოტანას თბილისში. ეს ბიბლიოთეკა ახლა „წერა-კითხვის საზოგადოების“ ხელშია და ამ დღეებში კიდეც გაახინჯა. რასაკვირველია, იმისი სრული დაფასება მაშინ შეიძლება, როდესაც ყველა მანუსკრიპტი საფუძვლიანად გაირკვევა.

აქ ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ თ. სამეგრელოის წიგნთა საცავს შეადგენს ორასზე ნაკლები ნომერი. თუმცა უწინდელი იმისი კატალოგი მომეტებულ ნომრებს უჩვენებს, თუმცა, როგორც ვიცით, ეს ბიბლიოთეკა კარგად იყო დაცული, მაგრამ ის საზოგადო სენი, რომელიც ჩვენში ამ გვარ განძსა სდევნის, იმასაც კი შეჰხებია. სჩანს, რომ ზოგიერთი მანუსკრიპტი გაუტანიათ და აღარ დაუბრუნებიათ. გარდა ამისა, არქეოლოგიურის მხრივ დიდად შესამჩნევი ოთხ-თავი ანუ სახარება დაგლეჯილია და დაფანტული. უეჭველად ზედამხედველის დაუდევნელობის გამო, რომელსაც იმისი ფასი არა სცოდნია. რომ თვით პატრონს დიდი უურადღება ჰქონია მიქცეული საზოგადოდ თავის წიგნთა-საცავზე, ეს ცხადია: ყველა ნომრები ყდებით არის შეკაზმული.

გარდა ხსენებულის ოთხ-თავისა, რომელიც მთლად არის ნაწერი უძველესის ხასიათის ხუცურის ასო-მთავრულით, ამ წიგნთა-საცავშია მეათისა და მეთერთმეტის საუკ. ტუალზე ნაწერი მანუსკრიპტები, იმათ შორის ერთი დიდი ფოლიანტი (დიდი ფორმატის წიგნი, — ს. ნ.) ათონის მონასტრის ხელით, ამ მონასტერშივე ნაშრომი, რომელიც შეიცავს, სხვათა შორის „საგალობლებს“ მაშინდელის სანოტო ნიშნებით. თუ იმათ მნიშვნელობას ახლა ვინმე შეიგნებს, შეიძლება ძველი გალობის კილოც აღვადგინოთ. მანუსკრიპტების რიცხვში აღმოჩნდა აგრეთვე: ა) ერთი პირი ქართულის ბიბლიისა, რომელიც თ. ვარანცოვის დროს განსვენებულს ოსელიანს მოეტანა ათონის მთიდამ და მეორე ამ ბიბლიის პირი საქართველო-იმერეთის კანტორაში ინახება; ბ)ქართლის — ცხოვრება ზოგიერთის დამატებებით, რომელნიც სხვა ქართველის-ცხოვრების ვარიანტებში არ იპოვებიან; გ) „ვისრამიანი“ არჩილ მეფისაგან გალექსილი; დ) „ამირან-დარეჯანიანი“ მე-XVIII საუკ. ხელით ნაწერი და სხვ.

სრული ანგარიში ამ ბიბლიოთეკისა შემდეგის დროისათვის გადაგვიდვია. აქ ვსარგებლობთ მხოლოდ შემთხვევით, რომ მთელის ქართველობისა და ქართულის არქეოლოგიის მხრივ გულითადი მადლობა ვუძღვნათ უგანათლებულეს თავად ნიკოლოზს თავის განძის გადმოცემისათვის ჩვენის მეცნიერების დედაქალაქს თბილისში, სადაც მხოლოდ ქართულ ისტორიას შეუძლიან იმითი სრულად ისარგებლოს. ეგვი არ გვაქვს, რომ ეს სამაგალითო საქმე თავადის ნიკოლოზის მხრივ თავის გავლენას აღმოაჩენს სხვებზედაც. აქ უნდა შევნიშნოთ ის ფაქტი, რომ საქართველოა ერთი იშვიათთა ქვეყანათაგანი. სადაც მრავალი ძველი და უძველესი მწერლობის ნაშთი ყოფილა და არის კიდეც. მაგრამ გაფანტული აქა-იქ კერძო სახლებში და ეკლესია-მონასტრებში, ანუ გატანილი საქართველოს გარეთ. გააქვთ იგინი აქამომდე ჭურდულად მაშინ, როდესაც ყოველივე ამ გვარი განძი შეადგენს კუთვნილებას მთელის საქართველოისას, იმის სწავლა-მეცნიერებისას და უნდა რჩებოდეს ამის ხელში. ეს სამწუხარო მოვლენაა უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენ არა გვქავს აქამომდე შემუშავებული ჩვენის წარსულის დროის ისტორია და არც შემუშავდება. სანამ არ შემოიკრიბება თბილისში ,ძველი მანუსკრიპტები, გურჯები ანუ სიგელები.

ამ აზრით, როგორც ამ დღეებში გაზეთმა „კავკაზმა“ გვაცნობა, თვით ყოვლად უსამდვდელო ეჭსარხოსი პავლე შესდგომია სიონის სობოროს გალავანში დაარსებას ქართულის საეკლესიო მუზეუმისას, სადაც უნდა შემოიკრიბოს საქართველოს მონასტრებიდან ყოველივე ისტორიული განძი. ამ გვარი აზრი დიდი-ხანია აღსრულებაშია მოყვანილი ევროპის სახელმწიფოებში და თვით რუსეთშიაც დიდი უურადღებაა ახლა ამაზე მიქცეული.

ამ აზრითვე, მივმართავთ ყველა ხაქართველოს შვილს, ვინც თანაუგრძნობს ჩვენს ისტორიის შემუშავებას და ვისაც რაიმე ძველი ისტორიული ნაშთი მოეპოვება. არ დაიშუროს და, თავადის ნიკოლოზის მაგალითით. უძღვნას ანუ „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“, ან, თუ საეკლესიო საგანს შეადგენს, „საეკლესიო მუზეუმს“, სადაც, იქაც და აქაც, ყველა შემოწირულობა, დაცული იქნება ფაქიზად და თვით შემომწირავის სახელი ჩაირთვის კატალოგში. თუ არა თვითეული ჩვენგანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ, როგორც ვხედავთ, რაცა გვაქვს დარჩენილი, დროის განმავლობაში ისიც სრულებით დაგვეკარგება და დაგვეღუპება და ყველანი მაშინ ვიგრძნობთ სინანულს, როდესაც ხაქმის შველა შეუძლებელი-ღა იქნება.

აქ ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ გულითადი მადლობა გავუცხადოთ თვით თავადს გრიგოლ დავითის ძეს გურიელს. რომლისაგანაც ამ დღეებში მივიღეთ სადღაც ოზურგეთში მისგან ნაპოვნი პატარა მე-X საუკ. მშვენიერი ასო-მთავრულიანი და ოქრო-ვარაყიანის გასაოცარი ხელოვნების სათაურის ასოებით ეტრატზე ნაწერი სახარება. ეს შრომა უჩვენებს, რა მაღალ ხარისხზედ მდგარა ჩვენში თვით მე-X საუკუნეში კალიგრაფია და მხატვრობა. ამისთვის იგი დიდს განძს შეადგენს ჩვენის არქეოლოგიისას, თუმცა საუბედუროდ სახარება ძალიან დაშლილია და ნათრევი.

**დიმიტრი ბაქრაძე**

„დროება“, 1885 წ. 23 აპრილი.

საეკლესიო მუზეუმი გაიხსნა 1888 წელს დ. ბაქრაძის თაოსნობით. ნიკო დადიანის ბიბლიოთეკა შესდგებოდა 169 ხელნაწერისა და წიგნებისაგან.

# როგორი იქნება ჩვენი გაზეთი?

**იგი სამეგრელოს რეგიონის კულტურისა და განათლების საკითხებს მოიცავს და ამ სფეროში დაგროვილ პრობლემებს არა მარტო გააშუქებს, შეეცდება კიდევაც გადაწყვიტოს. გაზეთს ექნება მუდმივი რუბრიკები — „თქვი“ — (თავისუფალი ტრიბუნა) მკითხველებს შესაძლებლობას მისცემს გამოთქვან თავიანთი სურვილები, შენიშვნები, შემოგვთავაზონ კონკრეტული წინადადებები.**

**დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ — „დავიწყებას ისტორიისა — მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა“. რუბრიკა „წარსული მკვდრი საძირკველია“... სამეგრელოს ხიძველეებს გაგაცნობთ, არაერთ საინტერესო პიროვნებას შეგახვედრებთ, მათ შორის უცხოეთში მოღვაწე ქართველებსაც. ჩვენი უპირველესი ამოცანაა გავაცოცხლოთ, აღვადგინოთ ამ რეგიონის კულტურის ძეგლები.**

**ვისაც ეურნალისტობა ხურს, გამოვუყოფთ „ხავარჯიშო მოედანს“. „გზა ერთობისა“-ს ყოველი ნომრის ერთი გვერდი „დებიუტ“ დაეთმობა, სადაც შერჩევით დაიბეჭდება ჩანახატები, ნარკვევები, ლექსები, ნოველები. სასწავლო წლის ბოლოს (ივნისში) სარედაქციო საბჭო შეარჩევს ორ საუკეთესო ნამუშევარს და მათ მიენიჭებათ გიორგი ჭყონდიდელისა და კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პრემიები (500-500 მანეთი). გამარჯვებულებს გავაგზავნით სასწავლებლად ქვეყნის საუკეთესო უნივერსიტეტების ეურნალისტიკის ფაკულტეტზე (უცხო ენის მცოდნეთ საზღვარგარეთაც). სტუდენტს ყოველთვიურად გადავუხდით სტიპენდიას 300 მანეთის რაოდენობით. მოგეხსენებათ, ჩვენი გაზეთი სპონსორების ხარჯზე არსებობს, ამიტომ მათ შვილებს ექნებათ გარკვეული შეღავათები.**

**„გზა ერთობისა“ სხვა ფრიად საინტერესო და საჭირო საკითხებსაც წამოჭრის, მაგრამ მათზე საუბარი ნაადრევად მიგვაჩნია, ჯერჯერობით ეს რედაქციის საიდუმლოებად რჩება, გინდათ გაიგოთ? გამოიწერეთ გაზეთი „გზა ერთობისა“, ინდექსი 66430. წლიური ფასი 10 მან და 80 კაპ. ხელმოწერის დამთავრებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა.**

**ИЗДАНИЕ!**

**ИЗДАНИЕ!**

**ИЗДАНИЕ!**

### განმარტება

ჩვენი გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილ რეპლიკაში „გაკიცხვა“ მკითხველს შევპირდით „ლიტერატურული საქართველოს“ 29 სექტემბრისა და 18 ოქტომბრის პუბლიკაციებს („მაშ როდემდე?“ და „რეგიონალური“) რესპუბლიკის პრესაში ვუპასუხებდით. ასეთი პასუხი გამოსაქვეყნებლად კარგი ხანია გავუგზავნეთ გაზეთებს: „კაბადონი-8“, „მამული“, „ლიტერატურული საქართველო“, ახლახან კი სახალხო ფრონტის გაზეთს „საქართველო“.

რაც შეეხება ზემოხსენებული წერილების ორგანიზატორებსა და ავტორებს, ისინი სასამართლოს წინაშე წარსდგებიან.


რედაქტორი
ალარა აბრამია

წერილები გამოგზავნეთ გაზეთ „კაბადონი-8“-ის რედაქციაში: 380046, თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 19. გაზეთისათვის „გზა ერთობისა“.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა თბილისი — 96, მერაბ კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.

ინდექსი 66430
ფასი 90 კაპ.